Ⴜმ. Ⴀნდრეა Ⴎირველწოდებულის Ⴋონასტერი

# ႮႠႰႠႩႪႨႱႨ

## ႱႠႥႤႣႰႤႡႤႪႨ ႼႫႨႣႨႱႠ ႫႭႺႨႵႳႪႧႠ ႱႼႭႰႨႱႠ ႬႤႲႠႰႨႱႠ ႣႤႣႨႱႠ ႹႳႤႬႨႱႠ ႬႨႬႭႢႱႨ ႩႠႮႠႣႳႩႨႤႪႨႱႠ

(ერისკაცთათჳს)

თბილისი 2021

უაკ (UDC) 27-565.79+27-534.5
გ-821

Ⴎარაკლისი - Ⴑავედრებელი Ⴜმიდისა Ⴋოციქულთა Ⴑწორისა Ⴌეტარისა Ⴃედისა Ⴙუენისა Ⴌინოჲსი. (ერისკაცთათჳს). გელა გრიგოლაშვილი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2021.

Ⴞსენება 14/27 იანვარს და 18 მაისს/1 ივნისს

მ ე ო რ ე   გ ა მ ო ც ე მ ა

Ⴌებადართულია გასავრცელებლად საქართველოს საპატრიარქოს „ლიტურგიკის კომისიის“ მიერ. Ⴇავმჯდომარე Ⴋროველ-Ⴓრბნელი მიტროპოლიტი Ⴈობი.

© გელა გრიგოლაშვილი, 2021
ყველა უფლება დაცულია

Ⴂარეკანზე გამოსახული წმ. Ⴌინოს ხატის პირი იღუმენ Ⴉონსტანტინეს კელიაში სუფევს და მისი ნებართვით დაიბეჭდა წიგნის ყდაზე.

გამომცემლობა „ႳႬႨႥႤႰႱႠႪႨ“

ႧႡႨႪႨႱႨ, 0186, ა. ႮႭႪႨႲႩႭႥႱႩႠႨႠႱ № 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-921-9

თქუენ დაიცავით მართალი სარწმუნოებაჲ ქრისტესი, რაჲთა
მის თანა სუფევდეთ საუკუნოდ სასუფეველსა ღმრთისასა.
წმიდა ნინო

# წმიდა მოციქულთა სწორი ნინო

წმიდა ნინო მცირე აზიის ქალაქ კოლასაში დაიბადა. მისი მამა, ზაბილონი, კაპადუკიელი იყო და რომის არმიაში მხედართმთავრად მსახურობდა. მას მდიდარი და წარჩინებული მშობლები ჰყავდა და კეთილმორწმუნე კაცისა და გამორჩეული მეომრის სახელით სარგებლობდა. მან ერთ-ერთ ბრძოლაში წარმართი ფრანჯები[1] დაამარცხა. მათივე თხოვნით მონათლა ისინი და მათი ქვეყნის მკვიდრნი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია.

ამის შემდეგ ზაბილონი იერუსალემს გაემგზავრა. იქ პატრიარქს დაუახლოვდა და მისი დაჲ შეირთო ცოლად. იერუსალემის პატრიარქი იუბენალი წარმოშობით ფრიგიის[2] ქალაქ კოლასადან იყო. სწორედ იქ გადავიდა საცხოვრებლად ცოლ-ქმარი; იქვე შეეძინათ მათ ნინო (სავარაუდოდ 296 წელს*). წმიდა ნინოს ბავშვობამ და ყრმობამ კოლასაში გაიარა. ის თორმეტი წლის ასაკამდე დედას არ მოშორებია. „აღმზარდა მე დედამან ჩემმან წიაღთა შინა თჳსთა, მსახურებასა შინა გლახაკთასა და დღე და ღამე დაუცადებელად.“[3] - აღნიშნა მან.

ფრიგია ძველთაგანვე ტექნოლოგიურად დაწინაურებული მხარე იყო. იქ ადნობდნენ იმდროინდელ მსოფლიოში სახელგანთქმულ უმაღლესი ხარისხის ლეგირებულ ფოლადს. ფრიგიის დედაქალაქი გორდეონი ასევე ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული მეტალურგიის ცენტრს წარმოადგენდა. არსებობს მოსაზრება, რომ

---

[1] არაბული ენის გავლენით ფრანკებს ეძახდნენ ასე ქართველები.

[2] ფრიგია და კაპადუკია ძველთაგანვე ქართველური ტომების, კერძოდ მესხების ქვეყნებს წარმოადგენდა.

* https://ka.wikipedia.org/wiki/წმიდა_ნინო#cite_note-25

[3] შატბერდის კრებული X საუკუნისა. ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბილისი 1979, გვ. 330.

სწორედ Ⴂორდეონიდან უნდა იყოს წარმომდგარი ფართოდ გავრცელებული და ქართველთათჳს საყვარელი ბოლომოხრილი საჩეხსაკვეთი ხმლის დასახელება Ⴂორდა.[4]

Ⴜმიდა Ⴌინო როცა თორმეტი წლის შესრულდა, Ⴁაბილონმა და Ⴑოსანამ გაყიდეს ყველაფერი, რაც კი ებადათ და Ⴈერუსალემს მიაშურეს. Ⴈქ პატრიარქის კურთხევით დაშორდნენ ერთმანეთს და დარჩენილი სიცოცხლე Ⴖმრთის მსახურებას მიუძღვნეს. Ⴈერუსალემში შეიტყო წმიდა Ⴕალწულმა ႭႳფლის კვართის ადგილსამყოფელი და ძლიერი სურვილი აღეძრა, მოეძებნა და მოელოცა იგი.

Ⴃაუცხრომლად ევედრებოდა წმიდა Ⴌინო თავის სენაკში Ⴃედაღმრთისას ხატს, რომ ღირსებოდა იმ ადგილის ხილვა, სადაც ႭႳფლის კვართი იყო დაკრძალული; სთხოვდა წმიდა Ⴕალწული Ⴆეცის Ⴃედუფალს, Ⴋისი სულისთჳს საუკეთესოდ წარემართა Ⴋისთჳს ცხოვრების გზა. Ⴑიზმარეულ ხილვაში გამოეცხადა Ⴋას Ⴖმრთისმშობელი და მოუწოდა, ჩრდილოეთის ქვეყანაში წასულიყო Ⴑახარების საქადაგებლად. Ⴀმან დიდად შეაშფოთა წმიდა Ⴌინო. Ⴋე, დედაკაცი, როგორ შევძლებ ამას, ან რა იქნებაო ამ საქმის სასწაული. - იკითხა Ⴋან. Ⴋაშინ ყოვლადწმიდა Ⴖმრთისმშობელმა Ⴇავისი ტახტის უკან მყოფ ვაზს ლერწი მოკვეთა, მისგან Ⴟვარი შექმნა, წმიდა Ⴌინოს მისცა და უთხრა: „Ⴄსე იყოს მცველი Ⴘენი და Ⴀმით სძლო ყოველთა წინააღმდგომთა Ⴘენთა, და წარემართოს ქადაგებაჲ Ⴘენი, და Ⴋე ვიყო Ⴘენ თანა და არა დაგიტეო Ⴘენ.“[5] როცა გამოეღვიძა, ჴელში სწორედ ის Ⴟვარი ეჭირა, Ⴐომელიც Ⴆეციურმა Ⴃედუფალმა მისცა. Ⴋან ყველაფერი Ⴈერუსალემის პატრიარქს მოუთხრო. ႭႳმაღლესმა იერარქმა წმიდა Ⴌინო სამოციქულო ღვაწლისთჳს აკურთხა.

[4] იხ. ჩვენი ღირსებანი. წიგნი XI. გიორგი კოკოშაშვილი, ქართული საბრძოლო ხელოვნება. გამომცემლობა წიგნი-ერი. თბილისი, 2019. გვ. 81.
[5] ჩვენი საუნჯე. ტ. I, თბილისი 1961. გვ. 416

Ⴜმიდა Ⴇალწული Ⴄფესოში ჩავიდა და იქ Ⴐიფსიმეს შეხვდა, რომელსაც ქრისტეანობის მიღების სურვილი ჰქონდა. Ⴋან და მთელმა მისმა სახლეულმა წმიდა Ⴌინოს ჴელქვეშ მიიღო ნათელი ჭეშმარიტი. Ⴌეტარმა იქ ორი წელი დაჰყო.

Ⴐომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს იმ დროს Ⴊიცინიუსი (313-324წწ.) განაგებდა. Ⴋისმა ხალხმა როგორღაც თვალი მოჰკრა Ⴐიფსიმეს, ძალიან მოეწონათ და დასაქორწინებელ კეისარს აცნობეს. Ⴉეისარსაც მოეწონა და მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა. Ⴐიფსიმე და მთელი მისი სახლეული, სულ 53 ადამიანი, ლტოლვილებად იქცნენ. Ⴐომის საჴელმწიფოს საზღვრები მათ 314 წლის მირკანის 15* რიცხვში დატოვეს და Ⴑომხეთში გადავიდნენ, სადაც Ⴒრდატ III (298-330წწ) მეფობდა. Ⴋასაც მოუნდა Ⴐიფსიმეს ცოლად შერთვა. Ⴐოცა დარწმუნდა, რომ წადილს ვერ აისრულებდა, Ⴒრდატმა წმიდა Ⴌინოს გარდა ყველა დახოცა.* Ⴜმიდა Ⴇალწულმა ვარდის ბუჩქს შეაფარა თავი. Ⴈს უცქერდა, როგორ გავეშებით მოკლეს Ⴐიფსიმე და Ⴋისი უახლოესი ადამიანები როგორ გამოასალმეს სიცოცხლეს. Ⴜმიდა Ⴌინომ როცა დაინახა, როგორ გაიჴსნა ცა და მთავარდიაკონის სახით ოლარით შემოსილი ნათლიერი Ⴀრსება როგორ აკმევდა, Ⴋისი საკმევლის კვამლითა და კეთილსურნელებით როგორ გაივსო ცისთაღი, როგორ იდგა Ⴆეციერთა დიდი სიმრავლე და როგორ შეუერთდნენ Ⴋოწამეთა სულები Ⴆეციურ Ⴛალთა ბრწყინვალებას, შეჰღაღადა: „ႭჃფალო, ႭჃფალო, რად დამიტევებ მე შორის ასპიტთა და იქედნეთა?" - დაუყოვნებლივ მიიღო პასუხი Ⴆეციდან, – „ესრეთვე იყოს Ⴘენიცა წარყუანებაჲ სასუფეველად წინაშე Ⴖმრთისა ჟამსა, ოდეს-ეგე ეკალი, რომელ არს გარემოჲს Ⴘენსა,

* 28 მარტი

* Ⴀმგვარ მდგომარეობაში მყოფ Ⴐიფსიმეს და მის თანმხლებ ადამიანებს ნებისმიერ შემთხვევაში, ალბათ, უეჭველი სიკვდილი ელოდათ. Ⴌაკლებად სავარაუდოა, რომ Ⴒრდატს გაებედა და ცოლად მოეყვანა ქალი, რომელმაც Ⴐომის იმპერატორის სურვილი, ის თავის მეუღლედ ეხილა, შეურაცხყო და მისი საჴელმწიფოდან გაიქცა.

ყოველივე იქმნეს ვარდისფურცელი სულნელი.“[6] Ცხადია, აქ არა ვარდის ბუჩქის აყვავება, არამედ ერის ბილწი ქცევის წესის ღმრთივსათნო ცხოვრებით შეცვლა იგულისხმებოდა, რისთჳსაც დიდი მოშურნეობით იღვაწა წმიდა Ნინომ და დიდებულ შედეგებს მიაღწია. Უფლისაგან იქვე მიიღო ბრძანება მოძრაობის მიმართულების შესახებ. Როგორც Ქართლის Ცხოვრება გვამცნობს, ამგვარი მჴეცური საქციელის გამო მეფე Ტრდატმა ჭკუა დაკარგა და გარეგნობითა და ქცევით ღორს მიემსგავსა.[7]

Წმიდა Ნინო 314 წლის მარიალის* თვეში შემოვიდა Ჯავახეთში, მიაღწია Ფარავნის ტბას, დასავლეთისკენ ჩაუყვა მდინარე Ფარავანს, შემდეგ აღმოსავლეთით გამოჰყვა Მტკვრის ხეობას და ქალაქ Ურბნისის გავლით Მცხეთაში ჩავიდა. Წმიდა Ქალწული იქ წარმართული რწმენის ღმერთების სადიდებელ დღესასწაულს შეესწრო. Არმაზციხისკენ მსვლელობაში მეფე-დედუფალი და უამრავი ხალხი ღებულობდნენ მონაწილეობას. Ქართლის მთაზე სამი კერპი იდგა. Ყველაზე დიდი, Არმაზი, სპილენძისგან იყო ჩამოსხმული, ოქროს ჯაჭვის პერანგი ემოსა, თავზე ოქროს ჩაფხუტი ეხურა, ხოლო თვალები და სამჴრეები ზურმუხტისა და ბივრიტის ჰქონდა. Მას ჴელთ მოძრავი მახვილი ეპყრა. Მისგან მარჯვნივ იდგა ოქროს Გაც, ხოლო მარცხნივ - ვერცხლის Გაიმ. Დიდი შიშითა და ძრწოლით სცემდა მათ თაყვანს ყოველი მონაწილე.

Ქართველებს ქალაქის ქუჩები ფოთლებითა და ყვავილებით მრავალფერად გაემშვენებინათ. Ყველა საზეიმოდ იყო გამოწყობილი. Განსაკუთრებულად დახვეწილი სამოსი ამკობდა დედუფალ Ნანას. Ბოლოს მეფე Მირიანიც გამოჩნდა. Მისი გარეგნობა და ყოველი მოძრაობა დიდებულების, შიშისა და მოწიწების განცდას იწვევდა. Ადამიანები ნელა მიაბიჯებდნენ ქალაქის ფოლორცებში; ურიცხვი ხალხი შეჰფენოდა მთების ფერდობებს. Მრავალ მათგანს ჴელში

[6] ქართლის ცხოვრება. გამ. „მერიდიანი“, „არტანუჯი“. თბილისი, 2008. გვ.97
[7] იგივე, გვ. 396
* ივნისი

სხვადასხვა ფერის ნაირგვარი სამკაულით გამშვენებული დრო-შები ეჭირა. Ზემოდან მინდვრის ნაირფერი ყვავილებით აკაკიავე-ბულ ველს ჰგავდა გარემო.

Მიუხედავად იმისა, რომ ზეიმის დროს წესრიგი სუფევდა და სახილველად ყველაფერი ლამაზი იყო, დიდად დამწუხრდა წმიდა Ⴕალწული, რამეთუ ხედავდა, როგორ დაუფლებოდა ერს ბნელეთი და ცოცხლივ ჯოჯოხეთს შთანთქმულიყო.

Ⴜმიდა Ⴌინომ Ⴀრმაზის კერპთან ახლოს ერთ ნაპრალს შეაფარა თავი და ცრემლმორეულმა გულმჴურვალე ლოცვა აღავლინა: „Ⴓფალო, მრავლითა ძალითა Ⴘენითა გეცრუვნეს მტერნი Ⴘენნი და მრავლითა სულგრძელებითა Ⴘენითა იქმან გონებად მოსრულ-სა მათსა ყოველსა მტუერებრ და ნაცრებრ განქარვებადნი ესე ქუე-ყანასა ზედა, არამედ ნუ უგულებელს-ყოფ, რომელი შექმნეს ჴელთა Ⴘენთა კაცი ხატად Ⴘენდა, და რომლისათჳს ერთი Ⴑამებისაგანი განჰკაცენ, და აცხოვნე ყოველი სოფელი, და მოხედენ წყალობით ამათცა ზედა ნათესავთა, და შეჰრისხენ სულთა მათ ბოროტთა და უჩინოთა, სოფლისა მპყრობელთა, მთავართა ბნელისათა, და შთაჴ-დენ ადგილთა ძნელთა. Ⴠა მიჩუენე მე, Ⴓფალო, Ⴖმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მჴევალსა ამას Ⴘენსა და ნაშობსა მონათა Ⴘენ-თასა, და რომელ იხილონ ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მაცხოვა-რებაჲ Ⴘენი, და რაჲთა ჩრდილოჲ ბღუარსა* თანა იხარებდეს, და ყოველმან ენამან მხოლოსა Ⴖმერთსა თაყუანის-გცენ Ⴕრისტეს Ⴈესუს მიერ, Ⴛისა Ⴘენისა, Ⴐომელსა შუენის მადლობაჲ და დიდე-ბის მიცემაჲ უკუნისამდე.“[8]

Ლოცვის დასრულებისთანავე დასავლეთის ძლიერმა ქარმა დაუ-ბერა, შიშისმომგვრელად მოიღრუბლა ცა და ყურთასმენის დამ-ჴშობი ჭექა-ქუხილი ატყდა. Ჰაერში მწარედ მყრალმა სუნმა დაისა-

* სამხრეთი

[8] ქართლის ცხოვრება. გამ. „მერიდიანი“, „არტანუჯი“. თბილისი, 2008. გვ.103

დგურა. ადამიანები თავთავიანთი საცხოვრისებისაკენ გაიქცნენ. კაცად კაცადმა ძლივს მოასწრო თავის შეფარება; საშინელი სეტყვა წამოვიდა ციდან. მოზრდილი ქვების ოდენა ყინული ცვიოდა კერპების თავზე და ყველაფერს ანადგურებდა. საშუალო ზომის ყინულის ნატეხს იმოდენა მასა ჰქონდა, რომ ცალ ჴელში მისი დაჭერა შეუძლებელი ჩანდა. სრულიად დაიმუსრა კერპები და მათი ნამსხვრევები ნაპრალებში ჩაცვივდა. წმიდა ქალწულს არაფერი ვნება შემთხვევია. ეს ამბავი უფლის ფერისცვალების დღეს მოხდა, ქრისტეს შობიდან 314-ე წელს.

დაახლოებით ექვსი საუკუნე გადმოჰყურებდა მცხეთას ფარნავაზის მიერ ქართლოსის საფლავზე დადგმული თავისივე სახელობის კერპი, როგორც ახალი იბერიის სამეფოს* გოროზი ნიშანსვეტი. ახლა ის აღარ არსებობდა. ახალი იდეა სჭირდებოდა ქვეყანას. ეს გამოითხოვა სწორედ უფლისაგან წმიდა ქალწულმა ჩვენთჳს. ამიერიდან ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვარი უნდა ყოფილიყო ქართლოსიანთა საჴელმწიფოს ყოფიერების მანათობელი და ეროვნული თჳთმყოფადობის გოდოლი, ერის ახალი დანიშნულების ორიენტირი და ერთიანობის დუღაბი.

სამი დღის შემდეგ წმიდა ნინო მცხეთაში ჩავიდა, მეფის წალკოტს მიაკითხა და იქ მეტილის სახლში შევიდა. ანასტოსმა, მტილის[9] მცველის ცოლმა, ეს დიდი ხნის კარგი ნაცნობივით მიიღო, ფეხები დაბანა, ზეთი სცხო და უშურველად უმასპინძლა. სახლში მხოლოდ ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. მათ შვილი არ ჰყავდათ,

---

* ძველი იბერიის დიდი საჴელმწიფოს ნაშთენზე ფარნავაზის თაოსნობითა და ძალისხმევით ახალი იბერიის სამეფოს აღორძინება, როგორც ეს დიდმა მეცნიერმა და მამულიშვილმა პავლე ინგოროყვამ დაადგინა, ქრისტეს შობამდე 284 წელს დაიწყო. (იხ. პავლე ინგოროყვა. შრომები. ტომი IV. თბილისი. 1978, გვ. 558). თუ არსებულ ინდიქტიონს ავიღებთ ჟამთააღრიცხვის სისტემად, ახალი იბერიის სამეფოს, რომელსაც ბოლო ათი საუკუნეა საქართველოს ვეძახით, 2017 წლის 14 სექტემბერს დაარსებიდან **2300** წელი შეუსრულდა.

[9] ბაღი

რაზეც დიდად წუხდნენ. Ⴜმიდა Ⴌინომ სიზმარეული ჩვენებით ნათლით შემოსილი კაცი იხილა, რომელმაც უთხრა, რომ წალკოტში მდგარი ნაძჳს ძირიდან მიწა აეღო და ცოლ-ქმრისთჳს შეეჭმია. Ⴀმის შემდეგ Ⴀნასტოსი მალე დაორსულდა და შემდეგ კიდევ მათ მრავალი ძე და ასული შეეძინათ. Ⴅინ იცის, იქნებ მათი პირმშოს ნათლია წმიდა Ⴌინო იყო. Ⴈს მათთან ცხრა თვის განმავლობაში ცხოვრობდა. Ⴘემდეგ Ⴈგი ქალაქის ზღუდის გარეთ მაყვლოვანში დაბინავდა. Ⴈქ აღმართა Ⴠვარი Ⴅაზისა და მრავალი სასწაული აღასრულა.

Ⴀმ ამბებმა მძიმე სენით შეპყრობილი დედოფლის ყურამდე მიაღწია. Ⴋსახურები გაგზავნა „ტყვე-ქალთან“ (ასე ეძახდა საკუთარ თავს წმიდა Ⴌინო Ⴇავისი წარმომავლობის დამალვის მიზნით), მაგრამ უკან გაისტუმრა წარგზავნილნი ამგვარი დანაბარებით: თუ დედოფალი ჩემთან მოვა, განვკურნავ Ⴕრისტეს ძალითო. Ⴑაკაცით მიაბრძანეს დედოფალი წმიდა Ⴕალწულთან. Ⴋან Ⴇავის კილიკზე დააწვინა სნეული, ილოცა და ჯვარი შეახო თავზე, ფეხებზე და მხრებზე. Ⴈმწამსვე იგრძნო შვება დედოფალმა Ⴌანამ და კურნებას ეწია. Ⴋან მთელი გულით ირწმუნა ჭეშმარიტი Ⴖმერთი და დაემოწაფა წმიდა Ⴌინოს.

Ⴋინდა აქვე კიდევ ერთ საკითხს შევეხო. Ⴜმიდა Ⴌინომ თმა მოიკვეცა და ვაზის ლერწების კვეთის ადგილას შემოახვია Ⴠვარს. 16 საუკუნეა, რაც Ⴋისი თმები ამკობს ამ სიწმიდეს. Ⴀმით Ⴋან რამდენიმე მიზანს მიაღწია. Ⴉერძოდ, (ა) ვაზის Ⴠვრის სახით მონიჭებულ ზეციურ მადლს მიწიერი მშვენება შეუზავა. Ⴋამაკაცისაგან განსხვავებით დედაკაცს ხომ თმები სამკაულად მისცა Ⴖმერთმა; (ბ) Ⴇავისი ქალწულებრივი წმიდა გულის სითბო გვიწილადა და ამ საქციელით უაღრესი სიყვარული გამოხატა ჩვენ მიმართ; (გ) იცოდა რა ჩვენი ერის გამორჩეულად მოკრძალებული დამოკიდებულება ქალისადმი, დამატებითი მიზეზი მოგვცა, რომ უდიდესი მოწიწებით მივეახლოთ ყოვლადწმიდა Ⴖმრთისმშობლის ამ გონმიუწვდომელ საბოძვარს და მრჩობლი მადლის მიღება შევძლოთ ლოცვითა Ⴋი-

სითა, მეოხებითა Დედისა Ღმრთისაჲთა და ნებითა Უფლისა ჩუენისაჲთა.

Მეფე დაინტერესდა ამ მოვლენებით და შეხვდა „ტყვე-ქალს“, რომელმაც ქრისტიანული სარწმუნოება უქადაგა. Ასევე უთხრა, რომ აქ Ცისა და ქვეყნის შემოქმედი Ღმერთის კვართი და Ელიას ხალენია დაკრძალულიო. Მეფე Მირიანმა Აბიათარ მღვდელს გამოჰკითხა კვართისა და ხალენის ამბები. Მანაც მოუთხრო და თან Ნებროთის წიგნში წააკითხა ზეციერი Მეუფის მოსვლის მონაკვეთი. Ქრისტეს რჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩნდა მეფეს, მაგრამ ყოყმანობდა. Მან დაახლოებით ერთი წელი დაჰყო ასეთ ყოფაში.

Ადამიანურად გასაგებია Მირიან მეფის მდგომარეობა. Ის თავის საწუთროში დიდად პატივდებული პიროვნება იყო. Ერთხელ მისი Სპარსეთის მეფედ კურთხევის საკითხიც კი განიხილებოდა, მაგრამ იქაურმა მმართველმა ზედაფენამ უარყო Ეგი. Ეს თუ მართლაც ასე მოხდა, ვფიქრობ, მათ დიდი ისტორიული შეცდომა დაუშვიათ და Სპარსეთი, სადაც Თომა მოციქულს ჰქონდა ნაქადაგები Ქრისტიანობა, იმ მადლის გარეშე დაუტოვებიათ, რომელიც წმიდა Ნინოს ლოცვითა და ჩვენი სამეფო სახლეულის ძალისჴმევით უხვად გადმოდინდა Ქართლის საჴელმწიფოზე. Თომა მოციქულის თავის ქალა დღეს Თბილისის Სიონში სუფევს და ნებისმიერს აქვს მისი მოლოცვის შესაძლებლობა.

Წარმართულ ქვეყანაში მეფე იმავე დროს უმაღლესი ქურუმი იყო და ითვლებოდა, რომ მან ყველაზე უკეთ უწყოდა ღმერთებთან ანუ უხილავ, უცხო არსებებთან ურთიერთობა და ერის მართვა. Ახლა კი წმიდა Ნინო უქადაგებდა და Ნებროთის წიგნი, ალბათ ეს წარღვნის შემდგომი კაცობრიობის გენეზისის და Ქართლოსიანთა წარმოშობის მატიანე, მოწმობდა, რომ Ქრისტე იყო ერთადერთი, Ვისაც ეკუთვნოდა ღმრთეებრივი პატივის მიგება, რომ Მირიანი, მეფე Ქართლისა, ცდებოდა და თავისი სამეფო არასწორი გზით მიყავდა. Იმის აღიარებას, რომ მთელი შენი ამჟამამდელი ცხოვრება შეცდომა იყო და შენი წინაპრები ასევე ცდომილებაში ცხოვრობდნენ, დიდი

სულიერი ძალის პიროვნება სჭირდება. Ⴙვენდა საბედნიეროდ ამგვარი ძალა საჭირო დროს აღმოაჩნდა Ⴔარნავაზიანთა სამეფო დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენელს და Ⴑაქართველოს კეთილმსახურ მეფეთა სათავის დამდებს, მეფე Ⴋირიან III-ს.

Ⴀმგვარ დიად საქმეთა აღსრულებას უცილოდ დიდი სულიერი ბრძოლები სდევდა თან სწორედ იმ მხრივ, რა მხარეც ეჭირა წარმართობას, წარმართულ ღვთაებებს და მათთან ურთიერთობას Ⴕართლის საჴელმწიფოს მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში. Ⴋათთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას და ერის ყოფიდან მათ განდევნას ტიტანური ძალისჴმევა და ზეშთა სოფლის მკვიდრთა მსგავსი სიწმიდე და უშიშრობა სჭირდებოდა.

Ⴄრთხელ მეფე Ⴋუხრანის მხარეს სანადიროდ წავიდა და მხლებლებთან ერთად Ⴇხოთის მთაზე ავიდა. Ⴘუადღისას უეცრად მზე დაბნელდა და სრული უკუნი ჩამოწვა. Ⴑცადა თავი დაეღწია სიბნელისთჳს, მაგრამ ვერაფერს გახდა. Ⴇანმხლები მსახურებიც კი დაკარგა. Ⴈსინი გზის ძიებისას ტყეში გაიფანტნენ. Ⴋხურვალედ შეევედრა თავის ღმერთებს. Ⴅერაფერ შველას ეწია. Ⴁოლოს გადაწყვიტა Ⴈესო Ⴕრისტესთჳს მიემართა. Ⴘეჰპირდა, გაღიარებ და ძელის ჯვარსაც აღვმართავო. Ⴐოგორც კი სათხოვარი წარმოთქვა, დაუყოვნებლივ განათდა გარემო. Ⴙამოვიდა მეფე ცხენიდან, აღმოსავლეთისკენ აღაპყრო ჴელები და წარმოთქვა: „Ⴘენ ხარ Ⴖმერთი ყოველთა ზედა Ⴖმერთთა და ႭჃფალი ყოველთა ზედა უფლებათა, Ⴖმერთი, Ⴐომელსა Ⴌინო იტყჳს, და საქებელ არს სახელი Ⴘენი ყოვლისა დაბადებულისაგან ცისა ქუეშე და ყოველსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ Ⴘენ მიჴსენ Ⴋე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. Ⴀჰა ესერა, მიცნობიეს, რამეთუ გინდა დაჴსნაჲ ჩემი და ლხინებაჲ და მიახლებაჲ Ⴘენდა, ႭჃფალო კურთხეულო, ამას ადგილსა აღვმარ-

თო ძელი ჯუარისაჲ, რომლითა იდიდებოდის სახელი Ⴘენი და იჴსენებოდის საქმე ესე და სასწაული უკუნისამდე.“[10]

Ⴑასწრაფოდ წამოვიდა მეფე Ⴋცხეთისაკენ. Ⴃედაქალაქში რომ შემოვიდა ჴმამაღლა ღაღადებდა, თუ სად იმყოფებოდა Ⴌინო. Ⴀმ დროს წმიდა Ⴕალწული 50 მოწაფესთან ერთად მაყვლოვანში მწუხრის ლოცვაზე იდგა. Ⴋეფე იქითკენ გაემართა თავისი მრავალრიცხოვანი მხლებლებით და ცნობისმოყვარე მოქალაქეებით. Ⴋაყვლოვანთან მისვლისთანავე ჩამოქვეითდა, წმიდა Ⴌინოს წინაშე წარდგა და ჰკითხა, თუ არის შესაძლებელი Ⴘენი Ⴖმერთის და Ⴙემი Ⴋჴსნელის მიმართ ვილოცოო. Ⴜმიდა Ⴕალწულმა Ⴕრისტეს დაუყოვნებელი თაყვანისცემისაკენ მოუწოდა. Ⴚრემლი მორეოდა ყველას და ყველა ბედნიერი იყო. Ⴋეორე დღესვე გაგზავნა მეფემ ხალხი Ⴐომის იმპერიაში მღვდლების მოსაწვევად. Ⴌეტარი Ⴌინო თავის მხრივ დაუცხრომლად ილვწოდა ერის მოქცევისთჳს.

Ⴄს ამბავი 319 წლის Ⴈგრიკას 24 რიცხვში მოხდა.[11] სწორედ ამ დღეს დაიწყო Ⴕართლის მოქცევა. Ⴇავისებურად სიმბოლურია, რომ იგი წმ. დიდმოწამე Ⴂიორგი კაპადუკიელის ხსენების დღეს ემთხვევა. Ⴙვენი სამშობლოს ისტორიის ამ მონაკვეთს ქართლის

---

[10] ქართლის ცხოვრება. გამ. „მერიდიანი“, „არტანუჯი“. თბილისი 2008. გვ.124

[11] Ⴄს თარიღი ასტრონომების მიერაა გაანგარიშებული. Ⴜიგნის პირველი გამოცემის შემდეგ იგი ამგვარად დაზუსტდა. Ⴋზის სრული დაბნელების ინტერნეტში ახლახან განთავსებული NASA-ს სამუშაო რუქების მიხედვით ერთადერთი დღე IV საუკუნეში, როდესაც Ⴋცხეთა და Ⴇხოთის მთა Ⴋზის სრული დაბნელების არეში მოექცა, არის 319 წლის 6 მაისი. Ⴋზის ნაწილობრივი დაბნელება დაიწყო 14:59-ზე, სრულმა დაბნელებამ 15:53-ზე დაისადგურა დაახლოებით 2 წუთით, ხოლო Ⴋზის ნათელს Ⴋთვარის ჩრდილი მთლიანად 16:45-ზე ჩამოშორდა. Ⴀმ მოვლენამ მოიცვა Ⴋცხეთის აღმოსავლეთით ქვეყნის მცირე ნაწილი, მის დასავლეთით მდებარე მთელი Ⴑაქართველო Ⴀბსილეთის, Ⴀფხაზეთის, Ⴑანიგეთის, Ⴟიხეთის და Ⴇავრიდის ჩათვლით და სამხრეთ Ⴑაქართველოს ჩრდილოეთის მხარე. (იხ. დანართი). Ⴀრსებობს უფრო ადრეული თარიღი, კერძოდ, 317 წელი, მაგრამ ავტორის მიერ მითითებულ ბმულზე ინფორმაცია არ იძებნება. (იხ. დონალდ რეიფილდი. Ⴑაქართველო - იმპერიათა გზაჯვარედინი. Ⴑამიათასწლოვანი ისტორია. გვ. 52).

ცხოვრებაში Ⴋოქცევაჲ Ⴕართლისაჲ ეწოდება და არა მოქცევაჲ ქართველთაჲ, რადგან აქ სწორედ Ⴕართველთა საჴელმწიფოს ქრისტეანულ სამეფოდ გარდაქმნას ეხება თხრობა, თორემ Ⴕართველთა გაქრისტეანებას I საუკუნეში დაუდო სათავე Ⴀნდრეა პირველწოდებულმა ყოვლადწმიდა Ⴖმრთისმშობლის ლოცვა-კურთხევით. Ⴕართლის სამეფოს მოქცევა Ⴕრისტეანობაზე სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ჴელმწიფემ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. Ⴄს კი Ⴇხოთის მთაზე ბნელის გაფანტვისთანავე მოხდა, ოდეს მეფემ Ⴕრისტე ჭეშმარიტ Ⴖმერთად აღიარა, ლოცვა წართქვა; შემდეგ იმავე დღეს წმ. Ⴌინოს რჩევით მწუხრის ლოცვის ჟამს მორწმუნე ერის თანხლებით და თავისი ამალის და უბრალო მოქალაქეების თვალწინ თაყვანი სცა Ⴆეცისა და ქვეყნიერების შემოქმედს.*

324 წელს კეისარ Ⴊიცინიუსს Ⴉონსტანტინე I-მა ძალაუფლება წაართვა და 325 წელს Ⴇესალონიკში სიკვდილით დასაჯა.[12] Ⴋანამდე კი, 313 წელს, მათ ერთად გამოსცეს Ⴋილანის ედიქტი, რომლითაც Ⴕრისტეანობის დევნა და შევიწროება შეწყვიტეს და ყველა რელიგიას თანაბარი უფლებები მიანიჭეს.

Ⴈმავე 325 წელს Ⴉონსტანტინე I-მა ქალაქ Ⴌიკეაში საეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც Ⴇვითონ ესწრებოდა და ყურადღებით უსმენდა Ⴀრიოზის მიმდევრებთან წმიდა Ⴋამების კამათს. Ⴇავად კი

---

* Ⴐადგან როგორც პიროვნების, ასევე ჩვენი ერის და საჴელმწიფოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევა თავისთავად ხანგრძლივი და ღირსშესანიშნავი პროცესია, რომლის ძირითადი ნაწილის დასასრულად წმ. Ⴌინოს გარდაცვალების დრო შეგვიძლია მივიჩნიოთ, უპრიანი იქნებოდა სადღესასწაულო ღონისძიებებისათჳს რამდენიმე წელი დაგვეთმო. ამასთანავე ეს ამბები ხომ მხოლოდ ჩვენთჳს არ წარმოადგენს სანიშანსვეტო მოვლენებს.

[12] Ⴉონსტანტინე I-ისთჳს ახლობლების სიკვდილის დასჯა გამონაკლის შემთხვევებს არ წარმოადგენდა განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ძალაუფლებას ეხებოდა. Ⴂარყვნილების საეჭვო ბრალდებებით მან მოგვიანებით, 326 წელს, ჯერ უფროსი ვაჟი, კეისარი Ⴔლავიუს Ⴈულიუს Ⴉრისპუსი და შემდეგ, დედამისის შეგონებით, თავისი მეუღლე, დედუფალი Ⴔლავია Ⴋაქსიმა Ⴔაუსტა გამოასალმა სიცოცხლეს. Ⴈმ დროს მისი ვაჟი 30-31, ხოლო დედუფალი - 36-37 წლისანი იყვნენ.

Ქრისტეანობა ამ ამბებიდან თორმეტი წლის შემდეგ სასიკვდილო სარეცელზე მიიღო.

Სწორედ ამიტომ პირველი ანგარიშგასაწევი ქრისტეანი მეფე Მირიანი გახლავთ, ხოლო პირველი ქრისტეანული საჯელმწიფო - Ქართლი. Წარმართობის სიბნელეს რომ თავი დააღწიო, Ქრისტეს ნათელს ეზიარო და შემდეგ მთელი სამეფო ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქციო, ამას ძლიერი და დიადი სულის პიროვნება სჭირდება. Სწორედ ასეთები იყვნენ Მოციქულთა სწორნი: წმიდა მეფე Მირიან, წმიდა დედუფალი Ნანა და წმიდა Ნინო კაპადუკიელი.*

Წარმართული ღმერთებისგან თავდაჴსნის საქმე მარტივი არ არის. ეს, უწინარეს ყოვლისა, საჭიროებს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევის მტკიცე გადაწყვეტილებას, თავის უაღრეს დამდაბლებას, გონივრული მორჩილების სწავლას, საკუთარი ცოდვების სრულად გააზრებას, პიროვნული უღირსების ღრმა შეგრძნების მოპოვებას, კათაკმეველობის დროის მონაკვეთის პატიოსნად გავლას, ანუ ნათლისღებისთჳს ყოველმხრივ მომზადებას, სარწმუნო მოძღვარს, შესაძლებლად დიდ ლოცვით ღვაწლს, სულიერ ბრძოლებში გამარჯვების მოსაპოვებელი საშუალებების დაუფლებას, ლოცვაში შრომისმოყვარეობის ჩვევის შეძენას, სულიერ განწმედას და Სულიწმიდის მადლმოსილებით მოყვასზე მიწყივ ზრუნვას.

Მირიან მეფის მიერ მღვდლების მოსაწვევად ხალხის Რომის იმპერიაში გაგზავნა ცალსახად არ ნიშნავს, რომ წმიდა Ანდრეა პირველწოდებულის დაარსებულ Იბერიის Ეკლესიას საკმარისი რაოდენობის ღმრთისმსახურები არ ჰყავდა. Ამ გადაწყვეტილებას სარწმუნოებრივთან ერთად პოლიტიკური დატვირთვა უნდა ჰქონოდა. Ჩვენი მეფე Რომის იმპერიის Ქრისტეანებს იმჟამამდე არნახულ

* საქართველოს სამეფოს მათ მიერ განსაზღვრული გეზიდან არ გადაუხვევია არსებობის ბოლომდე, ანუ მომდევნო 1482 წლის განმავლობაში, სანამ Რუსეთის საჭიროზე მეტად გაძლიერებულმა იმპერიამ სრულიად არ მოშალა და გაძარცვა იუდეურ-ქრისტეანული ცივილიზაციის დასუსტებული ავანპოსტი.

ნდობას და მჴარდაჭერას უცხადებდა. Ამით იქმნებოდა მრავალრიცხოვანი და საიმედო საყრდენი ფენა და იმავდროულად დიდად ძლიერდებოდა Იბერიის სამეფოს გავლენა არა მხოლოდ Ჭიბილონის* მიწაზე. Პოლიტიკური თვალსაზრისით ეს იყო სრულიად მოულოდნელი და უძლიერესი სვლა. Ამასვე ემსახურებოდა Რომის მოქალაქის ჴელდასხმა Ქართლის მღვდელმთავრად. Ამ გადასახედიდან სრულიადაც არ არის გამორჩეული საქციელი მოუნათლავი Კონსტანტინე I-ის მიერ 325 წელს ქალაქ Ნიკეაში საეკლესიო კრების ორგანიზება და მასზე Ბიჭვინთელი ეპისკოპოსის მიწვევა.

Ამრიგად, Მირიან მეფემ აიძულა Ლიცინიუსი და შემდეგ Კონსტანტინე დიდი Ქრისტეანობისათჳს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ და Ქრისტეანებში კეთილგანწყობის მოპოვებისათჳს ეზრუნათ. Ამგვარმა პოლიტიკამ დიდად შეუწყო ჴელი ჭეშმარიტი რწმენის გავრცელებასა და Რომის იმპერიაში Ქრისტეანობის საჴელმწიფო რელიგიად გამოცხადების დაჩქარებას. Ამ ეპოქაში Ქართლის სამეფომ წმიდა Ნინოს ლოცვითა და ღვაწლით მოკავშირედ გაიხადა Რომის იმპერია და Ევროპის განვითარების ვექტორის მიმართულების შეცვლას შეუფასებელი ღვაწლი დასდო. Სწორედ ამიტომ არის Მირიან მეფე დიდი პიროვნება და მსოფლიო დონის პოლიტიკოსი, ხოლო Მოციქულთა სწორი Ნინო - მსოფლიო Ქრისტეანობის არასათანადოდ განდიდებული წმიდანი.

Იბერიის ქრისტეანულ საჴელმწიფოდ გადაქცევა ძირფესვიანად ცვლიდა გეოპოლიტიკურ სურათს. II საუკუნეში Იბერიის მეფემ Ფარსმან ქველმა Რომის კაპიტოლიუმში მსხვერპლშეწირვა განაჴორციელა. Ასეთი პატივი მანამდე არც ერთ არარომაელს ხვდომია წილად. Იბერიის ძლიერი სამეფო Პართიის მრავალრიცხოვან და კარგად აღჭურვილ სამჴედრო ძალას აკავებდა და ამით Რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. Მაგრამ წარმართული დასავლური ცივილიზაციის ავანპოს-

---

* მცირე Აზია

ტის მძიმე ფუნქცია რაღატომ უნდა ეტვირთათ Ქართველებს, რომლებიც ახლა სულ სხვა სარწმუნოების აღმსარებლებლობას შედგომოდნენ და ძირეულად განსხვავებული ცივილიზაციის მესამირკვლეებად ევლინებოდნენ მსოფლიოს? Კონსტანტინე დიდს არ შეეძლო სამხედრო ძალით დაპირისპირებოდა Იბერებს; მოვლენების განვითარება უფრო პირიქით იყო მოსალოდნელი. Იბერებმა ხომ ჯერ კიდევ I საუკუნეში გამოიწვიეს ბრძოლის ველზე რომაული ლეგიონები და საბოლოოდ სირცხვილი აჭამეს Პომპეუსს Პონტოს ქართველური სამეფოს დაქცევის გამო. Მირიან მეფე (261-342 წწ.) თავისი ჴელმწიფების დასაწყისში Ქართველთა და Სპარსთა გაერთიანებული ლაშქრით შეიჭრა აღმოსავლეთ Რომში Ნიბილონის დასაბრუნებლად და რომ არა Უფლის სასწაული და Ჯვრის ძალა მოწინააღმდეგის არმიის განადგურებას წინ არაფერი ეღობებოდა. Ნუმცა ამ შემთხვევამ იმოდენა შთაბეჭდილება ვერ მოახდინა წარმართ უზენაეს ჴელისუფალზე, რომ Ქრისტეში ეძებნა ჴსნა. Ახლა კი ან უნდა გამოეცხადებინათ Ქრისტეანობა Რომის ოფიციალურ რელიგიად, ან იმპერიის დასასრულს დალოდებოდნენ. Საიმპერატორო კარს გაუჭირდა სწორი გადაწყვეტილების მიღება.

Მირიან მეფეს სურდა, რომაელები გაეძევებინა Არიან-ქართლის მიწებიდან, სრულად დაებრუნებინა Ნიბილონი და კვლავ ქართველები ჩადგომოდნენ სათავეში Ევროპის კულტურული განვითარების პროცესებს ახლა უკვე სრულიად ახალ საფუძველზე. Ალბათ ამადაც ჰყავდა მეუღლედ Პონტოელი დიდგვაროვნის ასული, სავარაუდოდ ძველი სამეფო შტოს წარმომადგენელი, დედუფალი Ნანა, რომელსაც საჭირო დროს შეეძლო ლეგიტიმური პრეტენზია წამოეყენებინა თავის სამემკვიდროზე.

Მირიან მეფეს რომ მხოლოდ სარწმუნოებრივი და ვიწრო პოლიტიკური მოტივები არ ამოძრავებდა და Მას და Ქართლის სამეფო კარს რომ ესმოდათ ამგვარი გადაწყვეტილების კულტურული და ზოგად ცივილიზაციური მნიშვნელობა, ეს მყოფადმა მოვლენებმა გახადა საჩინო განსაკუთრებით Ვახტანგ გორგასლის მეფობის

დროს, როდესაც Საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის საფუძვლებმა დასრულებული სახე მიიღო. Როგორც ჩანს, მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ ამგვარ სვლაგეზს საუკუნეების განმავლობაში თანდათან უნდა გადაეწყო პოლიტიკური ორიენტირები Ევროპის კონტინენტზე, შეექმნა ერთიანი რელიგიური და იდეოლოგიური ნიადაგი და ძველთაძველი ცივილიზაციების შემოქმედი ხალხების ნაღვაწზე მრავალეროვნული მაგრამ ერთიანი ახალი კულტურული გარემო ჩამოეყალიბებინა, როგორც საძირკველი მომავალი ქრისტეანული დომინანტი ცივილიზაციისა.

Ქართლის მოქცევიდან არც თუ მცირე ხნის შემდეგ გასცეს ბრძანება Კონსტანტინე I-მა და მისმა დედამ, Ელენე დედუფალმა, Იერუსალემში, რომელსაც იმ დროს ელია კაპიტოლინა ერქვა და Რომის იმპერიის ერთ-ერთი პატარა უმნიშვნელო ქალაქი იყო, მოეძებნათ ის Ჯვარი, Რომელზეც Იესო Ქრისტე აცვეს. Მართლაც მიაკვლიეს Მას და 336 წელს Იერუსალემელმა პატრიარქმა Მაკარიოსმა აამაღლა Იგი. Რაც შეეხება თავად Კონსტანტინე I-ს, Მან Ქრისტეანობა სიცოცხლის ბოლოს 337 წელს მიიღო. Ის წმიდა Მოციქულთა ტაძარში დაკრძალეს. Ეს მიიჩნევა Რომის იმპერიაში Ქრისტეანობის საჯელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად. Ამ დროისათჳს Კესარია-Კაპადუკიის მომავალი მთავარეპისკოპოსი წმ. Ბასილი დიდი, რომელმაც მოგვიანებით ქრისტეანული ლიტურგია შექმნა და რომელიც Ქართლის მოქცევის გადაწყვეტილების მიღებიდან 11 წლის შემდეგ დაიბადა, 7 წლის ასაკისა თუ იქნებოდა.

Მოწვეული მღვდლები სანამ Ქართლში აღმოსავლეთ Რომიდან ჩამოვიდოდნენ, მეფე ეკლესიის მშენებლობას შეუდგა. Ამ წამოწყების განჴორციელების საუკეთესო ადგილად Მან სამეფო წალკოტი მიიჩნია. Მოჭრეს ერთი ზრომაღალი ნაძჳ და მისგან ექვსი ბოძი დაამზადეს. Მთავარი, მეშჳდე სვეტი იმჴელა გამოვიდა, რომ ძვრა ვერ უყვეს, ვერაფრით წამოაყენეს ზეზე. Ყველას უკვირდა ეს. Დამწუხრებულ მეფესა და ერს შემოაღამდათ და თავიანთ ბინებს მია-

შურეს. Მხოლოდ წმიდა Ნინო და მისი თანმხლები 12 დედაკაცი დარჩნენ იქ. Ისინი Ღმერთისადმი ლოცვა-ვედრებას არ წყვეტდნენ.

Კაცობრიობის უბოროტესი მტერიც არ თვლემდა და ბრძოლის გარეშე არაფრის დათმობას აპირებდა. Მან საშინელი ხილვები მოუვლინა მლოცველ Წმიდანებს. Შუაღამით თითქოს Არმაზისა და Ზადენის მთები ჩამოიქცნენ და მდინარეების წყალი შეაგუბეს. Გადმოხეთქა Მტკვარმა და დიდი სისწრაფით შეიჭრა ქალაქში, ხოლო Არაგვის შეკავებული წყალი Ქებრის ციხეს გადმოევლო თავზე საშინელი გრგვინვით. Დედები შეშინდნენ, მაგრამ წმიდა Ნინომ აუხსნა Მათ, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებაა და თავისი მნიშვნელობა აქვსო. Ასე დაირღვევა ურწმუნოების მთები Ქართლში, შეკავებული წყალი კერპებისადმი შეწირული ყრმების სისხლის მდინარეების შეწყვეტას მოასწავებს, ხოლო ჴმები ეშმაკებისაა, ისინი საკუთარ თავს გლოვობენ, რადგან ამ ადგილებიდან მათ Ღმრთის მადლი მიერეკებაო. Აწ მოიქეცით და ილოცეთ Უფალი Ღმერთის მიმართო. - დასძინა Მან. Წმიდა Ნინო კვლავ ჴელაპყრობით იდგა და ლოცულობდა, მეფე რომ არ დაბრკოლებულიყო ამ საშური საქმის აღსრულების დროს.

Განთიადამდე კიდევ ერთი ხილვა მოუვლინა მათ ეშმაკმა. Თითქოს Სპარსთა ურიცხვმა ჯარმა Მცხეთის გალავნის სამივე კარი შემოამტვრია. Ყიჟინისა და კვნესის ბგერები საზარლად აირია ერთმანეთში. Ღვარად იქცეოდა ქართველების სისხლი. Ძლიერმა ჴმამ ამცნო ყველას, Მირიან მეფე შეიპყრესო. Წმიდა Ნინომ ამგვარად სცა ნუგეში დედებს: „ჰმადლობდით Ღმერთსა, ესე ნიში მათისა წარწყმედისაჲ არს და Ქართლისა ცხორებისაჲ და ამის ადგილისა დიდებისაჲ.“[13] Რიჟრაჟის პირს რული მოეკიდათ დედებს. Სიდონია ფხიზლობდა მხოლოდ. Ცისკენ ჴელაპყრობით დაუცხომლად ლოცულობდა წმიდა Ნინო. Ანაზდად ცეცხლის ზეწრით შემოსი-

[13] ქართლის ცხოვრება. გამ. „მერიდიანი“, „არტანუჯი“. თბილისი 2008. გვ.127

ლი ჭაბუკი გამოჩნდა, წმიდა ნინოსთან მივიდა და მას რაღაც სამი სიტყვა უთხრა.* შემდეგ აიღო სვეტი, აღამაღლა და გადაჭრილი ნაძვს თავზე ჰაერში ექვსი მეტრის სიმაღლეზე გააჩერა. სვეტი ნელა დაეშვა და ნაძვს ძირს დაემყარა.

მეფემ და ერმა დილით ნახეს, წმიდა ნინოს ლოცვით სვეტი როგორ აღმართულიყო თავის ადგილას. ის თვალისმომჭრელ სინათლეს გამოსცემდა და ჯერარსმენილ სასწაულებს ახდენდა. ამიტომაც უწოდეს მას სვეტიცხოველი. მეფემ მას საბურველი შეუქმნა და ეკლესიის მშენებლობა დაასრულა.

აღმოსავლეთ რომიდან წამოსული სამღვდელოება ქართლში სიწმიდეებით ჴელდამშვენებული შემოვიდა. მათ სხვადასხვა ადგილას მიუჩინეს სამყოფელი სიწმიდეებს. ერუშეთს უფლის სამსჭვალნი დატოვეს ახალაგებულ ეკლესიაში, მანგლისს - უფლის ფერჴთფიცარნი. მათი ასეთი საქციელი სრულებით არ იქნება გასაკვირი, თუ წარმოვიდგენთ მათ სიხარულს, როცა წარმართობის წკვარამით დაბნელებულ მსოფლიოში ქართლიდან, მათი წინარე სამშობლოდან, მეფისაგან ამოდენა ქვეყნის მოქცევაში მონაწილეობის მიწვევას მიიღებდნენ. თავდაპირველად მეფემ იწყინა სატახტო ქალაქში პირადად რომ არ მიართვეს სიწმიდეები, მაგრამ წმ. ნინომ აუწყა, რომ „ესრეთ ჯერ-არს, სადაცა მივიდოდიან, დასთესვიდიან სახელსა ღმრთისასა. ხოლო არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისაჲ.“[14]

ამის პასუხად წარმოთქვა სწორედ მეფე მირიანმა ეს ღირსსახსოვარი სიტყვები: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რამეთუ პირველითგანვე გინდა ჴსნაჲ ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა ბნელისა. ამისთჳს სამოსელი შენი წმიდაჲ წარმოეცა წმიდით ქალაქით შენით იერუსალემით ებრაელთა მათ, ღმრთეებისა შენისაგან უცხოქმნილთა, ჩუენ უცხოთა

* ალბათ „სახელითა სამებისა ერთარსებისაჲთა“.

[14] ქართლის ცხოვრება. გამ. „მერიდიანი“, „არტანუჯი“. თბილისი 2008. გვ. 132

ნათესავთა.“[15] Ⴑანამ Ⴋცხეთას მოაღწევდა სამღვდელოება, წმ. Ⴌინოს მაყვლოვანზე დაიწყეს ეკლესიის შენება.

Ⴜერილობითი ბრძანება გაუგზავნა მეფე Ⴋირიანმა ერისთავებს, სპასალარებსა და სამეფოს მოჴელეებს. Ⴗველას Ⴋცხეთაში მოუყარა თავი ნათლისღებისთჳს. Ⴇავად მეფემ წმიდა Ⴌინოს ჴელქვეშ მიიღო ნათელი. Ⴜარჩინებულები მღვდლებმა მონათლეს Ⴄლიოზ მღვდლის ნასახლართან. Ⴋას შემდეგ ამ ადგილს Ⴋთავართა სანათლავს ეძახიან. Ⴕვევით, ცოტა მოშორებით, წვრილი ერი ინათლებოდა. Ⴞალხი ევედრებოდა მღვდლებს, არ დაეტოვებინათ Ⴕრისტეს ნათელის გარეშე; მათ ახსოვდათ წმიდა Ⴌინოს ნათქვამი: „ყოველმან რომელმან არა ნათელ-იღოს, არა პოვოს მან Ⴌათელი საუკუნოჲ.“[16]

322 წლის მირკანის 25 რიცხვში, Ⴞარებას, პარასკევ დღეს, ჯვრების დასამზადებლად ხე შეარჩიეს და მოკვეთეს. 37 დღის განმავლობაში ფერშეუცვლელად იყო შთამბეჭდავი მცენარე დედაქალაქში. Ⴅარდობის თვის მეშვიდე დღეს მისგან ჯვრები დაამზადეს და მეფის ჴელთ-დასხმით ეკლესიაში დააბრძანეს. Ⴄკლესიას ღამით ვარსკვლავების მსგავსი გჳრგჳნით ირგვლივ შემკობილი ცეცხლოვანი Ⴟვარი დაადგა. Ⴂანთიადისას Ⴋისგან ორი ვარსკვლავი გამოვიდა; ერთი აღმოსავლეთისაკენ წავიდა, მეორე - დასავლეთისაკენ. Ⴜმიდა Ⴌინოს რჩევით, ერთი ჯვარი Ⴇხოთის მთაზე აღმართეს, მეორე Ⴑალომე უჯარმელს მისცეს, Ⴓჯარმაში რომ მიეჩინა ადგილი მისთჳს, ხოლო Ⴁოდბეში თავად ჩავალო, ბრძანა ნეტარმა Ⴃედამ. Ⴟვრის კიდევ მრავალი სასწაული იხილა ერმა იმ ხანებში. Ⴁევრი მოიქცა. Ⴇანდათან მრავლდებოდა Ⴕრისტეს Ⴄკლესიის მრევლი. Ⴗოველწლიურად ხედავდნენ Ⴟვრის მთაზე სასწაულს. Ⴞალხს უძლიერდებოდა რწმენა. Ⴂანსაკუთრებით დიდებულების ცოლები გამოირჩეოდნენ. Ⴈსინი თითქმის არასდროს შორდებოდნენ Ⴑვეტი-ცხოველს, რადგან უამრავ ბრწყინვალე სასწაულს უცქერდნენ.

---

[15] იქვე

[16] იქვე, გვ. 131. ეს ამბები 321 წელზე გვიან ვერ მოხდებოდა.

Სიხარულით, იოლად და სწრაფად მიიღო თითქმის სრულიად Ქართლმა Ქრისტეანობა. Ეს ასეთი ვრცელი ქვეყნისთჳს უპრეცედენტო მოვლენა იყო, რაც, ვფიქრობ, ხუთმა მიზეზმა განაპირობა.

1. Ყოვლადწმიდა Ღმრთისმშობლის წილხვდომილობამ და Მისმა განსაკუთრებულმა მეოხებამ;
2. Წმიდა Ნინოს თავდაუზოგავმა ღვაწლმა და სამეფო ოჯახის დიდმა ავტორიტეტმა;
3. Უფლის მიერ მადლის უხვად გარდმოვლენამ, დიდებულმა და ბრწყინვალე სასწაულებმა;
4. Წმიდა Ანდრეა პირველწოდებულის მიერ ნაქადაგებმა სარწმუნოებამ, რომელსაც იმ დროისთჳს, როგორც ჩანს, ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ხალხის ცნობიერებაში. Გავიხსენოთ, III საუკუნის მეორე ნახევარში Იბერიის მეფემ Რევ მართალმა, Რომელსაც მცირე რამ სმენოდა Ქრისტეს შესახებ, ყრმათა მსხვერპლად შეწირვა მკაცრად აკრძალა ქვეყანაში;
5. Წარმართობა, შეიძლება ითქვას, ეროვნული მოვლენა არ ყოფილა Ქართლის ცხოვრებაში. Ეს ქალდეიდან შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში. „Ცხორებაჲ Ქართლისაჲ“ გვამცნობს, რომ Უფლოსის მამასახლისობის დროს Ქართველებმა „დაივიწყეს Ღმერთი დამბადებელი მათი, და იქმნნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა“[17], თუმცა უპირატეს პატივს Ქართლოსის საფლავს მიაგებდნენ. Ამიტომ Ქრისტეანობის ქადაგება და გავრცელება, შესაძლოა, სასიქადულო წინაპრების, Ქართლოსისა და Მცხეთოსის ჭეშმარიტი Ღმერთის რწმენისკენ შემობრუნებად აღიქმებოდა.

Წმიდა Ნინომ მეფეს არ დაანება მთაში მცხოვრებთა ძალდატანებით მოქცევა და მეფესა და ერთ ერისთავს Იოვანე ეპისკოპოსთან ერთად გაჰყვა მთიანეთში. Წლების განმავლობაში ქადაგებდა ნე-

[17] ქართლის ცხოვრება. გამ. „მერიდიანი“, „არტანუჯი“. თბილისი 2008. გვ.31

ტარი Ⴃედა Ⴕრისტეს სარწმუნოებას მთაში, ამსხვრევდა კერპებს და ახარებდა ჭეშმარიტებას. Ⴘემდეგ Ⴈს Ⴐანს ჩავიდა, Ⴐანიდან Ⴉუხეთს გადავიდა და Ⴁოდბეში დაბინავდა. Ⴉახეთიდან მიდიოდა Ⴋასთან უამრავი ხალხი და ჭეშმარიტ სარწმუნოებას ეზიარებოდა.

Ⴀდამიანური შესაძლებლობების ზღვარს სცილდებოდა ღვაწლი, Ⴋან რომ იტვირთა Ⴖმრთისა და ჩვენი სიყვარულის გამო. Ⴋძიმედ დაავადდა Ⴁოდბეში. Სიცხე და ჯურვება გარდამეტებული სულიერი შრომის ჟამს ემართებათ ხოლმე მოღვაწეებს, როცა ფიზიკური სხეული ვეღარ უძლებს სულიერი ჯაფის სიმძიმეს. Ⴋზრუნველებად Ⴋასთან მეფის ძე Ⴐევი და მისი ცოლ-შვილი იყვნენ. Ⴋეფე-დედოფალს ღვაწლმოსილი Ⴃედის Ⴋცხეთაში ჩამოყვანა სურდათ, მაგრამ Ⴁოდბეში დარჩენა ინება Ⴌეტარმა.

Ⴜმიდა Ⴌინომ წერილი მისწერა მეფე Ⴋირიანს და ამგვარად დალოცა უზენაესი ჴელისუფალი და მთელი ერი: „Ⴂარდამოგივლინოს Ⴖმერთმან ცუარი წყალობისაჲ Ⴆეცით და ყოველსა პალატბანაკსა ერისა Ⴘენისასა, და იყავნ მფარველ თქუენდა Ⴟუარი Ⴕრისტჱსი და მეოხებაჲ ყოვლად წმიდისა Ⴃედისა Ⴋისისაჲ.“[18] Ⴀნდერძად დაიბარა, აწ დაიცავითო „მართალი სარწმუნოება Ⴕრისტჱსი, რაჲთა Ⴋისთანა სუფევდეთ საუკუნოდ სასუფეველსა Ⴚათასა“[19]; ითხოვდა, წმიდა მამათმთავარი გამოეგზავნათ, წმიდა ზიარება რომ მიეღო სულის საგზლად, რამეთუ მოახლოებულიაო Ⴙემი აღსასრული.

Ⴜმიდა Ⴌინომ ამ წერილის მეფე Ⴋირიანისთჳს მირთმევა Ⴉახეთის დედოფალ Ⴑუჯის სთხოვა, რომელმაც მიიღო რა Ⴕრისტეს ნათელი, დაამსხვრია კერპები და დაარღვია საკერპოები Ⴉახეთში, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია მთავარი Ⴀრტერეონი, იმ მხარის სხვა მთავრები და Ⴁოდბეში მიჰგვარა წმიდა Ⴕალწულს.

---

[18] ჩვენი საუნჯე. ტ. I, თბილისი 1961. გვ. 432

[19] იქვე

Სუჯის დიდად ეწადა Სვეტიცხოვლის მონახულება. Კარგი მიზეზი გამოუჩნდა, წმიდა Დედის წერილი უნდა გადაეცა Მეფისთჳს. Დედუფალმა Სუჯიმ უაღრესად დაიმდაბლა თავი, ფერჴთსამოსი განიძარცვა და უჴამური ქვეითად დაადგა გზას Მცხეთისაკენ. Ადიდებული დახვდათ Არაგვი მას და მის მხლებლებს. Მჴედრებმა სცადეს მდინარის გადალახვა; ყველა გამორიყა წყალმა. Ნირწამხდარი უცქერდნენ მათ ფუჭ მცდელობას მდინარის გაღმა ნაპირიდან მთავარეპისკოპოსი Იოვანე და მისი ამალა. Ქრისტეს სარწმუნოებით და Სვეტიცხოვლის მოლოცვის სურვილით აღვსილმა Სუჯიმ გადაისახა პირჯვარი, შეჯდა ცხენზე და მდინარეში შევიდა. Ყველამ იხილა სასწაული, თუ როგორ უკუიქცა წყალი ორივე მხარეს და გზა მისცა Დედუფალს. Მეორე ნაპირზე მშვიდობით გასულს თავად Მეფე მიეგება. Სუჯიმ მოილოცა Სვეტიცხოველი და უხვად შესწირა მონაგები, რომელთა შორის დაბა Ბოდბეც იყო.

Მეფეს ცრემლები მოჰგვარა წმიდა Ნინოს წერილმა. Მან თან იახლა Მთავარეპისკოპოსი, დედუფალი Ნანა და Ბოდბეში ჩააკითხა ღვაწლმოსილ სნეულ წმიდა Დედას. Კახეთის ამ მცირე დაბაში მოიყარეს თავი Ქართლის საზეპურო ფენის წარმომადგენლებმა. Მეფე და მთავრები ევედრებოდნენ Მას, Მათთჳს გაემხილა Თავისი წარმომავლობისა და აქ მოსვლის ამბავი. Მაშინ მოუჴმო Მან კეთილმსახურ დედებს, Სალომე უჯარმელსა და Პეროჟავრა სივნიელს, რათა Მათ ჩაეწერათ Მისი მონათხრობი. Მთავარეპისკოპოსმა Იოვანემ ჟამისწირვა დააყენა და Ქრისტეს მაცხოვნებელ სისხლსა და ჴორცს აზიარა Ნეტარი. Მოსიყვარულე Დედამ მათ Ძელიცხოვლის ნაწილი გადასცა.

Წმიდა Ნინო Ქართლში შემოვიდა 314 წელს, როცა Ის 17 წლისა იყო. Იღვაწა 21 წლის განმავლობაში. აღესრულა 38 წლის ასაკში 334 წლის Აპნისის 14 რიცხვში*.[20] Მშვიდობით შეჰვედრა Მან სული

---

* 27 Იანვარს გრიგორიანული კალენდრით

Ⴓფალს და წავიდა იმიერ სოფლად მოციქულებრივი ღვაწლით შემკული და ქალწულებით გამშვენებული. Ⴋუჴლი მოიდრიკა მეფე Ⴋირიანმა და თაყვანი სცა Ⴋას. Ⴓმალ დაიჩოქა ერმა. Ⴗველას უნდოდა, უკანასკნელად ენახა წმიდა Ⴃედა და ოდნავ მაინც შეხებოდა Ⴋის სამოსს. Ⴅინც მოახერხა, სასწაულებრივი კურნება მიიღო. Ⴝყლეტის წარმოქმნის საშიშროების გამო Ⴛალას მიმართეს ხალხის დასაშოშმინებლად.

Ⴋეფე Ⴋირიანს სურდა, რომ Ⴋცხეთაში გადმოესვენებინა და ტაძარში Ⴑვეტიცხოვლის წინ დაეკრძალა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრეს Ⴋოციქულთა სწორის მცირე სარეცელი. Ⴀმიტომ გადაწყდა, წმიდა Ⴕალწულის ძლევაშემოსილი სხეული Ⴁოდბის მიწისთჳს მიებარებინათ. Ⴋთელი სამეფო ოცდაათი დღის განმავლობაში გლოვობდა მოსიყვარულე წმიდა Ⴃედას. Ⴋეფემ იმ ადგილას ეკლესია ააგო და დედუფალ Ⴌანას ანდერძით დაუბარა, სამეფო სალარო ორად გაეყო და ერთი ნაწილი წმიდა Ⴌინოს საფლავისთჳს შეეწირა, რათა Ⴈგი სათანადოდ განედიდებინათ.

Ⴜმიდა Ⴃედამ Ⴁოდბე თავმდაბლობის გამო აირჩია, მაგალითი რომ მოეცა. Ⴑწორედ ამიტომ მიიცვალა იქ სამარადისო სიცოცხლედ და არის ჩვენთჳს შუამდგომელი წინაშე Ⴑამებისა ერთარსებისა, დამბადებელისა ყოველისაჲსა. Ⴋისი მეოხება შეეწიოს ყოველ კეთილმორწმუნე ქრისტეანს, სრულიად Ⴑაქართველოს და მთელ Ⴑაქრისტეანოს. Ⴀმენ.

Ⴂელა Ⴆაქარია Ⴂრიგოლაშვილი*
Ⴌათლისღება. Ⴇბილისი, 2021 წ.

---

[20] Ⴋოქცევაჲ Ⴕართლისაჲს შატბერდული რედაქციის მიხედვით. Ⴀსევე იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, რ. შენგელია, წმიდა ნინოს გარდაცვალების მიზეზი, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 2006, №9. გვ. 57-58.

* *Ⴀმ ნარკვევს ვუძღვნი ჩემი ისტორიის მასწავლებლების Ⴋარიკა Ⴀლავიძისა და Ⴆურაბ Ⴕავთარაძის ხსოვნას. Ⴂთხოვთ, თქვენს წმიდა ლოცვებში მოიჴსენიოთ შესვენებული მონა Ⴖმრთისა Ⴆურაბ და მჴევალი Ⴖმრთისა Ⴋარიამ*

Ⴑავედრებელი Ⴜმიდისა Ⴋოციქულთა

Ⴑწორისა Ⴌეტარისა Ⴃედისა Ⴙუენისა

Ⴌინოჲსი ეძღვნება Ⴕართლის სამეფოს

მოქცევის **1700** წლისთავს

და

ახალი Ⴈბერიის სამეფოს დაარსების

**2300** წლისთავს

# ႱႠႥႤႣႰႤႡႤႪႨ ႼႫႨႣႨႱႠ ႫႭႺႨႵႳႪႧႠ ႱႼႭႰႨႱႠ ႬႤႲႠႰႨႱႠ ႣႤႣႨႱႠ ႹႳႤႬႨႱႠ ႬႨႬႭႢႱႨ

Ⴑახელითა Ⴋამისაჲთა, და Ⴛისაჲთა, და Ⴑულისა Ⴜმიდისაჲთა. Ⴀმენ.

ႭჃფალო Ⴈესუ Ⴕრისტე, Ⴛეო Ⴖმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა Ⴃედისა Ⴘენისაჲთა და ყოველთა Ⴜმიდათაჲთა შეგჳწყალენ ჩუენ. Ⴀმენ.

Ⴃიდებაჲ Ⴘენდა, Ⴖმერთო ჩუენო, დიდებაჲ Ⴘენდა.

Ⴋეუფეო Ⴆეცათაო, ნუგეშინისმცემელო, Ⴑულო ჭეშმარიტებისაო, Ⴐომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ Ⴋადლითა Ⴘენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხორებისაო, მოვედ და დაემკჳდრე ჩუენ შორის და წმიდა მყუენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, Ⴑახიერო სულნი ჩუენნი.

Ⴜმიდაო Ⴖმერთო, წმიდაო Ⴛლიერო, წმიდაო ႭჃკუდაო, შეგჳწყალენ ჩუენ *(3-გზის)*.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴗოვლადწმიდაო Ⴑამებაო, შეგჳწყალენ ჩუენ, ႭჃფალო, გჳჴსნენ და გჳლხინენ ცოდვათა ჩუენთაგან, Ⴋეუფეო, შეგჳნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი, Ⴜმიდაო, მოიხილენ და განკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა Ⴘენისათჳს.

ႭჃფალო, შეგჳწყალენ *(3-გზის)*.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴋამაო ჩუენო, Ⴐომელი ხარ Ⴚათა შინა, წმიდა იყავნ სახელი Ⴘენი, მოვედინ სუფევაჲ Ⴘენი, იყავნ ნებაჲ Ⴘენი, ვითარცა Ⴚათა შინა, ეგ-რეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტე-ვებთ თანამდებთა მათ ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაც-დელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან. Ⴀმენ.

Ⴓფალო, შეგჳწყალენ *(12-გზის).*

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴋოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ Ⴋეუფესა ჩუენსა Ⴖმერ-თსა.

Ⴋოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ Ⴕრისტესა, Ⴋეუფესა ჩუენსა Ⴖმერთსა.

Ⴋოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით Ⴕრისტესა, Ⴋეუ-ფესა და Ⴖმერთსა ჩუენსა.

**Ⴔსალმუნი 142-ე:** Ⴓფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ, ყურად-იღე ვედრებაჲ ჩემი ჭეშმარიტებითა Ⴘენითა, შეისმინე ჩემი სიმარ-თლითა Ⴘენითა და ნუ შეხუალ საშჯელსა მონისა Ⴘენისა თანა, რა-მეთუ არა განმართლდეს Ⴘენ წინაშე ყოველი ცხოველი, რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქუეყანად ცხორებაჲ ჩე-მი. Ⴃამსუა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკუდარი საუკუნოჲ, და მოე-წყინა ჩემთანა სულსა ჩემსა და ჩემ შორის შემიძრწუნდა გული ჩემი. Ⴋოვიჴსენე დღეთა პირველთაჲ და ვიწურთიდ ყოველთა მი-მართ საქმეთა Ⴘენთა და ქმნულსა ჴელთა Ⴘენთასა ვზრახევდ. Ⴂან-ვიპყრენ Ⴘენდამი ჴელნი ჩემნი, და სული ჩემი ვითარცა ქუეყანაჲ ურწყული Ⴘენდამი. Ⴋსთუად შეისმინე ჩემი, Ⴓფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა; ნუ გარე-მიიქცევ პირსა Ⴘენსა ჩემგან, და ვემსგავსო მათ, რომელი შთავლენან მღჳმესა. Ⴋასმინე მე განთიად წყალობაჲ Ⴘენი, რამეთუ მე Ⴘენ გესავ; მაუწყე მე, Ⴓფალო, გზაჲ, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ Ⴘენდამი აღვიღე სული ჩემი. Ⴋიჴსენ

მე მტერთა ჩემთაგან, Ⴓფალო, რამეთუ Ⴘენ შეგევედრე. Ⴋასწავე მე, რაჲთა ვყო ნებაჲ Ⴘენი, რამეთუ Ⴘენ ხარ Ⴖმერთი ჩემი; Ⴑული Ⴘენი სახიერი მიძღოდენ მე Ⴕუეყანასა წრფელსა. Ⴑახელისა Ⴘენისათჳს, Ⴓფალო, მაცხოვნო მე, და სიმართლითა Ⴘენითა გამოიყვანო ჭირისაგან სული ჩემი, და წყალობითა Ⴘენითა მოსრნე მტერნი ჩემნი, და წარსწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისანი, რამეთუ მე მონაჲ Ⴘენი ვარ.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴀლელუია, ალელუია, ალელუია, დიდებაჲ Ⴘენდა, Ⴖმერთო.

Ⴀლელუია, ალელუია, ალელუია, დიდებაჲ Ⴘენდა, Ⴖმერთო.

Ⴀლელუია, ალელუია, ალელუია, დიდებაჲ Ⴘენდა, Ⴖმერთო ჩუენო, დიდებაჲ Ⴘენდა.

## Ⴒროპარი, ჴმაჲ Ⴀ

Ⴘეოხებითა ყოვლადწმიდისა Ⴖმრთისმშობელისაჲთა მრავალმოწყალისა და წინააღუდგომელისა Ⴖმრთისა მიერ მოივლინე ქუეყანასა ჩუენსა ვითარცა ნაბერწყალი ერთი მადლისაჲ Ⴖმრთისაჲ წარსამართებელად პირველწოდებულისა მოციქულისა Ⴀნდრეას ქადაგებისა და განსანათლებელად სულთა და გონებათა ჩუენთათჳს, წმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე დამბადებელსა ჩვენსა Ⴖმერთსა, გარდამოავლინოს მადლი Ⴑულისა Ⴜმიდისა და კეთილად განაგოს ცხორებაჲ ერისა ჩუენისაჲ წმიდითა ლოცვითა Ⴘენითა.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴘეოხებითა ყოვლადწმიდისა Ⴖმრთისმშობელისაჲთა მრავალმოწყალისა და წინააღუდგომელისა Ⴖმრთისა მიერ მოივლინე ქუეყანასა ჩუენსა ვითარცა ნაბერწყალი ერთი მადლისაჲ Ⴖმრთისაჲ წარსამართებელად პირველწოდებულისა მოციქულისა Ⴀნდრეას ქადაგებისა და განსანათლებელად სულთა და გონებათა ჩუენთათჳს, წმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე დამბადებელსა ჩვენსა Ⴖმერთსა,

გარდამოავლინოს მადლი სულისა წმიდისა და კეთილად განაგოს ცხორებაჲ ჩუენი წმიდითა ლოცვითა შენითა.

აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

არასადა დავდუმნეთ, ღმრთისმშობელო, ძლიერებათა შენთა ქებად უღირსნი ესე მონანი შენნი, რამეთუ არა თუმცა შენ გუფარევდი ოხითა შენითა, ვინმცა სადა მიჴსნნა ჩუენ ესოდენთა ჭირთაგან, ანუ ვინმცა მიცვნა ჩუენ აქამომდე ფლობილად. არასადა განგეშორნეთ ჩუენ, დედუფალო კურთხეულო, რამეთუ შენ იჴსნი სულთა ჩუენთა ყოველთაგან განსაცდელთაგან.

**ფსალმუნი 50-ე:** შეიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აჴოცე უშჯულოებაჲ ჩემი. უფროჲს განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე. რამეთუ უშჯულოებაჲ ჩემი მე უწყი, და ცოდვაჲ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ; რაჲთა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო სჯასა შენსა. რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან. რამეთუ ესერა ჭეშმარიტებაჲ შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფროჲს თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაჲ და სიხარული, და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარემიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი აჴოცენ. გული წმიდაჲ დამბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაჲ და სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე. ვასწავლნე უსჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ. მიჴსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხორებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაჲ ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებუ-

ლებასა Ⴘენსა. Ⴐამეთუ უკუეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მე-წირა; არამედ საკუერთხი არა გთნდეს. Ⴋსხუერპლ Ⴖმრთისაჲ არს სული შემუსრვილი; გული შემუსრვილი და დამდაბლებული Ⴖმერთმან არა შეურაცხ-ყოს. Ⴉეთილი უყავ, Ⴓფალო, ნებითა Ⴘე-ნითა Ⴑიონსა და აღეშჷნნენ Ⴆღუდენი Ⴈერუსალჱმისანი. Ⴋაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაჲ, შესაწირავი და ყოვლადდასა-წუველი; მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა Ⴘენსა ზედა Ⴆუარაკნი.

## Ⴞმაჲ Ⴃ გუერდი

### Ⴂალობაჲ Ⴀ

### Ⴓფგალობდითსა

**Ⴛლისპირი.** Ⴕუეყანასა მწყურნებსა, ვითარცა ჴმელსა, განვიდა და შრომათა Ⴄგჳპტისათა განერა ერი Ⴈსრაელთაჲ, ღაღადებდა: Ⴋჴსნელ-სა Ⴙუენსა და Ⴓფალსა უგალობდეთ.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა Ⴙუენთჳს.

**Ⴒროპარნი:** Ⴜარიოტა მოციქულთა სწორმან Ⴕალწულმან სიბრმე იგი დამღუპველი და ვედრებითა Ⴋისითა კერპთა ზედა მოიწია სეტყუაჲ განმწმედელი და თხრობად განსაკჳრვებელი.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა Ⴙუენთჳს.

Ⴋოტყინარე სულითა, Ⴑერაბინთასა მობაძავი, შეწევნითა ყოვლად-წმიდისა Ⴃედისა Ⴖმრთისაჲთა დედაჲ Ⴙუენი Ⴌინო შეაწყნარებდა ერსა Ⴙუენსა Ⴓფალსა.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴑაუცრება ბნელმყოფელობისა წარჴდა, რაჟამ ისმინა Ⴖმერთმან ლოცვაჲ წმიდისა მჴევლისაჲ, ხოლო Ⴕართლოსიანნი ღაღადებდენ: Ⴋჴსნელსა Ⴙუენსა და Ⴓფალსა უგალობდეთ.

Ⴀწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

**Ⴖმრთისმშობელისაჲ.** Ⴉრებული Ⴀნგელოზთა და კაცთა, Ⴃედაო უქორწინებელო, გიგალობენ Ⴘენ, რამეთუ დამბადებელი მათი Ⴖმერთი, ვითარცა ყრმაჲ, უშევ დაბადებულთა.

### Ⴂალობაჲ Ⴄ

### Ⴋოიხილესა

**Ⴛლისპირი.** Ⴑჯულისმდებელმან ერსა ისრაელთასა ასწავა სიბრძნჱ Ⴖმრთისაჲ, რაჟამს სახედ ჯუარისა უდაბნოს ჴელნი განიპყრნა და პირი Ⴋისი მზისაებრ განბრწყინდა.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა Ⴙუენთჳს.

**Ⴒროპარნი:** Ⴕერუბიმთა მობაძავ იქმენ გონიერებითა დიდითა და აღიღე საღმრთო იგი შური Ⴋოციქულთა, Ⴌინო ყოვლადქებულო, წმიდაო Ⴖმრთისაო.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა Ⴙუენთჳს.

Ⴂმადლობდა ღირსი Ⴌინო ყოვლადწმიდისა Ⴃედუფლისა და Ⴛისა Ⴋისისა, ისწავა რაჲ, სადა უკუე კუართი Ⴖმრთისა არს წილად ჰხუდომილი ჰურიათა მცხეთელთა.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴂპოვა წმიდამან Ⴕალწულმან ადგილი იგი სამოსლისაჲ სამარხავი, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად Ⴖმრთისა მიმართ.

Ⴀწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

**Ⴖმრთისმშობელისაჲ.** Ⴂანქარდა ცთომაჲ პირველი Ⴘენ მიერ, ქალწულო Ⴋარიამ, რაჟამ გჴშევ Ⴖმერთი ჴორცითა სწორი Ⴋამისაჲ Ⴖმრთეებითა, Ⴋას ევედრე, Ⴜმიდაო, ცხორებად სულთა Ⴙუენთათჳს.

## Ⴂალობაჲ Ⴂ

## Ⴂანძლიერდასა

**Ⴛლისპირი.** Ⴂანძლიერდა დღეს გონებაჲ ჩემი Ⴓფლისა Ⴖმრთისა მიმართ, და ამაღლდა რქაჲ ჩემი და განავრცნა პირი ჩემი მტერთა ჩემთა ზედა გონიერთა.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

**Ⴒროპარნი:** Ⴜმიდისა Ⴌინოჲს ლოცვითა სულიერად სამოთხედ გარდაიქცა ადგილი იგი Ⴋცხეთასა შინა და გამოიღებს ნაყოფთა დღენდელად დღედმდე.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

Ⴜმიდისა Ⴃედის მოციქულებრივითა მოღუაწებითა გამოჩნდა Ⴀბიათარ მღდელი და ქადაგებდა ჭეშმარიტებასა სადიდებელად Ⴖმრთისა.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴑიყუარულისამან მონამან გამოიჴსნენ ბელიარისა მონებისაგან ერი Ⴕართველთა და შესცვალე წესი ყოველი მის ქუეყანისაჲ.

Ⴀწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

**Ⴖმრთისმშობელისაჲ.** Ⴑურსა საღმრთოჲსა ქალწულებისასა უქორწინებელსა მას მხოლოსა უბიწოსა Ⴖმრთისმშობელსა დღეს ყოველნი მორწმუნენი ვადიდებდეთ.

Ⴘეგჳწყალენ ჩუენ, Ⴖმერთო, დიდითა წყალობითა Ⴘენითა და აჴოცენ უშჯულოებანი ჩუენნი, აცხოვნენ და შეიწყალენ ღმრთივდაცული ერი ჩუენი, მთავრობა და მჴედრობა მისი, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად Საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და ყოველნი სამღდელონი წესნი, სულიერი მამაჲ მოძღუარი ჩემი *(სახელი)*, ნათლია *(სახელი)* და ნათლულნი ჩემნი *(სახელები)*, მშობელნი და სახლეული ჩემი *(სახელები)*, მეგობარნი და მოყუასნი ჩემნი *(სახელები)*, და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი, შეუნდვენ მათ ყოველი შეცოდებანი მათნი, ნებითნი და უნებლიეთნი, მიანი-

ჭე მათ მშჳდობაჲ Ⴘენი და აღავსენ იგინი ყოვლითა კეთილითა, რა-მეთუ სახიერი და კაცთმოყუარე Ⴖმერთი ხარ და Ⴘენდა დიდებასა აღვავლენთ Ⴋამისა და Ⴛისა და Ⴜმიდისა Ⴑულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴋოიხილე ჩუენზედა, ყოვლადწმიდაო Ⴖმრთისმშობელო, და ჴორ-ცთა ჩუენთა ბოროტნი წყლულებანი განკურნენ, და სულისა ჩუე-ნისა სნეულებანი.

## Ⴜარდგომაჲ. ჴმაჲ Ⴃ

Ⴋოციქულებრივსა ღუაწლსა შინა Ⴀნდრეას ქადაგებისა წარმართე-ბითა Ⴕართლისა განმანათლებელად გამოგაჩინა Ⴓფალმან, ნეტა-რო დედაო ჩუენო Ⴌინო, აწჳმებდი მადლსა უხუებით ერსა ჩუენსა, ხოლო პირსა Ⴘენსა ხედვიდენ ვითარცა Ⴆეცისა Ⴀნგელოზისასა, მადლითა შემოსილო, ამისთჳსცა გვედრით მორწმუნენი შეწევნად ჩუენდა წინაშე წმიდისა Ⴑამებისა ერთარსებისა.

## Ⴂალობაჲ Ⴃ

## Ⴋესმასა

**Ⴛლისპირი.** Ⴂუამით Ⴘენით გამობრწყინდეს ისარნი ნათლისანი და თავთა მათ Ⴜინაჲწარმეტყუელთა და Ⴋოციქულთა ოდეს იხილეს, შეჰრწუნდეს და ღაღადებდეს: დიდებაჲ ძალსა Ⴘენსა, Ⴓფალო.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

**Ⴒროპარნი:** Ⴀრა ჰრიდა მეფემან სამოთხესა სამეფოჲსა, წარმავალსა წალკოტსა, რაჲთა ძალითა Ⴓფლისა ჩუენისაჲთა შენ ქმნულიყო ეკლესიაჲ სადიდებელად წმიდისა Ⴑამებისა.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

Ⴑამარხავი ადგილი კუართისაჲ, ვითარცა ადგილი იგი Ⴈაკობისი, კიბედ ხილული და Ⴆეცად აღწევნული, Ⴜმიდათა მოღუაწებითა იქმნა ადგილად საცხოვნებელად.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴋჴურვალითა ლოცვითა სანატრელისა Ⴃედისა ჩუენისა Ⴀნგელოზ-მან Ⴖმრთისამან დაამყარა ადგილად თჳსად ნათლითა ბრწყინვალე სუეტი, სიქადული Ⴕრისტეანეთა.

Ⴀწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

**Ⴖმრთისმშობელისაჲ.** Ⴞორცთა Ⴘენთაგან უბიწოთა დამბადებელმან Ⴘენმან, Ⴑძალო Ⴖმრთისაო, მიიღო განკაცებაჲ, და გამოვიდა Ⴘენგან Ⴖმერთი და Ⴉაცი ორითა ბუნებითა სრულითა.

**Ⴂალობაჲ Ⴃ**

**Ⴖამითგანსა**

**Ⴛლისპირი.** Ⴖამისაგან წყუდიადისა უგუნურებისა შეცთომილი გზათაგან Ⴘენთა ნათლითა შენმიერითა, Ⴓფალო, დამამტკიცე მე მშჳდობით, რაჲთა ვიდოდი მცნებათა Ⴘენთა.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

**Ⴒროპარნი.** Ⴖუაწლი ფრიადი თავს ისხენ და სული Ⴘენი დასდევ ერისათჳს, რომელი შეიყუარე ფრიად და სიმდაბლისა სიმაღლჱ და ბრწყინვალებაჲ გჳჩუენე, სანატრელო Ⴃედაო.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

Ⴖამისაგან წყუდიადისა ჴსნილი ერი Ⴋცხეთასა შინა აღივსო შიში-თა და სიხარულითა და ცრემლოოდა ყოველთა და ადიდებდეს Ⴖმერთსა და გნატრიდენ შენ, Ⴌეტარო.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴀითოსახენი სნეულნი მოვიდოდენ და განიკურნებოდენ, სიკუდი-ლად მიახლებულნი მრთელ იქმნებოდენ და მტკიცითა რწმენითა მშჳდობით ვიდოდენ მცნებათა ႱႶფლისათა.

Ⴊწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

**Ⴖმრთისმშობელისაჲ.** Ⴂამოვიდა Ⴘენგან, Ⴑძალო, Ⴑიბრძნჱ დამბადე-ბელი და სიმტკიცჱ მორწმუნეთაჲ, ყოვლად წმიდაო Ⴖმრთისმშო-ბელო, ითხოვე ჩუენ მგალობელთა Ⴘენთათჳს აწ დიდი წყალობაჲ.

## Ⴂალობაჲ Ⴄ

## Ⴖაღადყავსა

**Ⴛლისპირი.** Ⴋომიტევენ, Ⴑახიერ, აურაცხელნი ცოდვანი ჩემნი, რომლისათჳს გიჴმობ Ⴘენ, მიჴსენ მე ბოროტთაგან. Ⴘენდა მიმართ ვღაღადებთ: ისმინე ჩემი, Ⴖმერთო, მაცხოვარო ჩემო.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

**Ⴒროპარნი:** Ⴌერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა ფრიადითა ღუაწ-ლითა წყალთასა მათ თანაწარსადინელსა დაჰნერგე და ცნა ყოველ-მან, ბრძანებანი Ⴖმრთისა ჟამსა თჳსსა არნ.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

Ⴑაქმენი ႱႶფლისანი კეთილ არიან ფრიად, ხოლო გზაჲ Ⴋისი Ⴜმი-დათათჳს წრფელ არიან, ხოლო ქარნი განმზადებული შურის საგე-ბელად განაქარვა ღირსმან Ⴇედამან.

Ⴇიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴖმერთმან გამოუწჳმა წმიდასა Ⴕალწულს სიტყუაჲ სიბრძნისაჲ და განუმარჯვა ზრახვაჲ იგი Ⴋისი, რამეთუ ღაღად ყო Ⴖმრთისა მი-მართ: ისმინე ჩემი, Ⴖმერთო მაცხოვარო ჩემო.

Ⴊწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

**Ⴖმრთისმშობელისაჲ.** Ⴂანვერენით საცთურსა ცოდვათა ჩუენთასა ვედრებითა Ⴘენითა, Ⴖმრთისმშობელო Ⴕალწულო, Ⴛისა Ⴘენისა

მიერ, Ⴐომელი იშვა Ⴘენგან, უზეშთაეს ბუნებისა Ⴛჱ Ⴖმრთისაჲ დაუსაბამოჲ.

Ⴋიჴსნენ განსაცდელთაგან მონანი Ⴘენნი, ყოვლადწმიდაო Ⴖმრთისმშობელო Ⴕალწულო, რამეთუ ჩუენ ყოველნი შემდგომად Ⴖმრთისა Ⴘენდა მოვივლტვით, ვითარცა უძლეველისა ზღუდისა და შუამდგომელისა.

Ⴋოიხილე ჩუენ ზედა, ყოვლადქებულო Ⴖმრთისმშობელო, და ჴორცთა ჩუენთა წყლულებანი ბოროტნი განკურნენ, და სულისა ჩუენისა სნეულებანი.

**Ⴉონდაკი, ჴმაჲ Ⴃ**

Ⴑულისა სიწმიდითა მოტყინარემან გარდარეულითა მოღუაწებითა იტჳრთე საქმჱ ძნიად სატჳრთავი განსანათლებელად ერისა ჩუენისა და წარსამართებელად ქადაგებათა პირველწოდებულისა Ⴋოციქულისა, და მით მოაქციე სამეფოჲ Ⴕართველთა გზასა წრფელსა ზედა სადიდებელად Ⴖმრთისა ჭეშმარიტისა მეოხებითა და შეწევნითა Ⴖმრთისმშობელისაჲთა.

**ჳკოსი, ჴმაჲ Ⴃ**

ႭჃრწმუნოებისა მთანი დაირღუენ Ⴕართლსა შინა და წარიმართა Ⴋეფე და ყოველი ერი მტკიცედ Ⴕრისტეანობასა, განანათლა რაჲ მადლმან Ⴖმრთისამან ბნელი იგი გულთა Ⴋათთაჲ გარდარეულითა ღუაწლითა და მჴურვალითა ლოცვითა წმიდისა Ⴋოციქულთა სწორისა დედისა ჩუენისა Ⴌინოჲსითა და მეოხებითა ყოვლადწმიდისა Ⴖმრთისმშობელისაჲთა.

ႭჃფალო Ⴈესუ Ⴕრისტე, განმიხუენ მე თუალნი გულისა ჩემისანი სმენად სიტყუათა Ⴘენთა და გულისხმის-ყოფად მისა და ყოფად ნებისა Ⴘენისა, რამეთუ მწირ ვარ მე ქუეყანასა ზედა.

# Ⴑახარებაჲ Ⴋათესი

Ⴠრქუა Ⴓფალმან Ⴇჳსთა მოწაფეთა: Ⴋაშინ ემსგავსოს სასუფეველი Ⴚათა ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად Ⴑიძისა, ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი და ხუთნი - სულელნი. Ⴋიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა. Ⴃა დაყოვნებასა მას Ⴑიძისათა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. Ⴞოლო შუვა-ღამესა ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა Ⴑიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად Ⴋისა. Ⴋაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი. Ⴞოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან. Ⴋიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროჲსღა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა. Ⴃა ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა Ⴑიძე იგი, და განმზადებული იგი შევიდეს Ⴑიძისა თანა ქორწილსა მას და დაეჴშა კარი. Ⴘემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: Ⴓფალო, Ⴓფალო, განგვღე ჩუენ! Ⴞოლო Ⴋან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არა გიცნი თქუენ. Ⴈღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა Ⴛე კაცისაჲ მოვიდეს.[21]

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴋეოხებითა ღირსთა და ღმერთშემოსილთა Ⴋამათაჲთა, Ⴋოწყალეო, აღჴოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

Ⴀწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴥ, Ⴓფალო Ⴈესუ Ⴕრისტე, Ⴖმერთო ჩუენო, Ⴋეუფეო სახიერო და კაცთმოყუარეო, ნუ განმეშორები ჩუენგან, ნუცა დამიტევებ და ნუ-

[21] მთ.25,1-13

ცა დაგუაგდებ ჩუენ, არამედ ჩუენთან ჯერ-იჩინე მარადის ყოფად და Ⴘენ სუფევდე ჩუენ ზედა.

Ⴋეოხებითა ყოვლადწმიდისა Ⴖმრთისმშობელისაჲთა, Ⴋოწყალეო, აღჴოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

Ⴋიწყალე მე, Ⴖმერთო, დიდითა წყალობითა Ⴘენითა, და მრავლითა მოწყალებითა Ⴘენითა აღჴოცე უსჯულოებაჲ ჩემი, და შემიწყალე მე, Ⴖმერთო.

Ⴙუ უგულებელს-ყოფ ვედრებასა სიწმიდითა Ⴘენისაჲთა, ღმერთშემოსილო და სამგზის სანატრელო დედაო Ⴌინო, არამედ აღიპყრენ ჴელნი Ⴘენნი წმიდანი Ⴆეცათა Ⴋეუფისა მიმართ, Ⴐომლისა წინაშე ღმრთივბრწყინვალითა გვრგვნითა დიდებულ ხარ, Ⴖირსო, და გვთხოვე, რაჲთა მოანიჭოს ერსა ჩუენსა მშჳდობაჲ, ქრისტეანეთა უვნებელობაჲ და მგალობელთა Ⴘენთა დიდი წყალობაჲ.

Ⴀცხოვნე, Ⴖმერთო, ერი Ⴘენი და აკურთხე სამკჳდრებელი Ⴘენი, მოხედენ სოფელსა Ⴘენსა წყალობითა და მოწყალებითა, აღამაღლე რქაჲ Ⴕრისტჲანეთა მართლმადიდებელთაჲ და გარდმოავლინე ჩუენ ზედა მდიდარნი წყალობანი Ⴘენნი მეოხებითა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩუენისა Ⴖმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა Ⴋარიამისაჲთა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა Ⴟუარისაჲთა, ძლიერებითა Ⴟუარისა Ⴅაზისაჲთა, მეოხებითა პატიოსანთა უსხეულოთა Ⴆეცისა Ⴛალთაჲთა, პატიოსნისა, დიდებულისა, წინაჲწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა Ⴈოვანჱსითა, წმიდისა წინაჲწარმეტყუელისა Ⴄლია თეზბიტელისა და მართლისა Ⴄნუქისაჲთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა თავთა Ⴎეტრესა და Ⴎავლჱსითა, საქართველოჲს განმანათლებელისა მოციქულისა Ⴀნდრეა პირველწოდებულისა, სჳმონ კანანელისა და Ⴋატათაჲსითა, და წმიდისა მოციქულისა Ⴇომაჲსითა, წმიდისა დედისა ჩუენისა, მოციქულთა სწორისა, ქალწულისა Ⴌინოჲსითა, წმიდათა Ⴋოციქულთა სწორთა - მეფისა Ⴋირიანისა და დედუფლისა Ⴌანაჲსითა, წმიდათა

შორის მამათა ჩუენთა და მსოფლიოთა დიდთა მოძღუართა და მღდელთმთავართა - Ⴁასილი დიდისა, Ⴂრიგოლი ღმრთისმეტყუელისა და Ⴈოვანე ოქროპირისაჲთა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა Ⴌიკოლოზ მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსისა და საკჳრველთმოქმედისაჲთა, წმიდათა დიდებულთა და ღუაწლით მძლეთა მოწამეთა - წმიდისა მთავარმოწამისა ძლევაშემოსილისა Ⴂიორგისა და წმიდისა დიდისა მოწამისა Ⴘალვა ახალციხელისაჲთა, წმიდისა მთავარმოწამისა Ⴁიძინაჲსითა და წმიდათა დიდებულთა მოწამეთა - Ⴘალვა და Ⴄლიზბარ ქსნის ერისთავთა, წმიდათა დიდთა ქალწულმოწამეთა Ⴄკატერინესაჲთა, Ⴁარბარესა და Ⴋარინესაჲთა, Ⴑოფიოჲსა და Ⴈრინესაჲთა, ეგჳპტელთა, წმიდისა ღირსისა მამისა ჩუენისა Ⴈოანე Ⴆედაზნელისაჲთა და ათორმეტთა Ⴋისთა მოწაფეთა - Ⴀბიბოს ნეკრესელისა, Ⴀნტონ მარტყოფელისა, Ⴃავით გარეჯელისა, Ⴆენონ იყალთოელისა, Ⴇადეოზ სტეფანწმიდელისა, Ⴈსე წილკნელისა, Ⴈოსებ ალავერდელისა, Ⴈსიდორე სამთავნელისა, Ⴋიქაელ ულუმბოელისა, Ⴎიროს ბრეთელისა, Ⴑტეფანე ხირსელისა და Ⴘიო მღვიმელისაჲთა, წმიდათა სანატრელთა მამათა ჩუენთა - Ⴊუკიანე, Ⴃოდო, Ⴃამიანე, Ⴍნოფრე და Ⴑჳმეონ გარეჯელთა, წმიდისა მღდელმოწამისა Ⴌეოფიტე ურბნელისა და წმიდისა დიდისა მოწამისა Ⴀბო ტფილელისაჲთა, ღმრთივგაბრძნობილთა ნეტართა მამათა - Ⴈლარიონ ქართველისა, Ⴑერაპიონ Ⴆარზმელისა, Ⴂრიგოლ ხანძთელისაჲთა და Ⴉლარჯეთის უდაბნოთა ღირსთა Ⴋამათა და Ⴃედათა ჩუენთა - კათოლიკოსთა: Ⴀრსენ, Ⴌერსე, Ⴈშხნის პირველაღმშენებელისა და ნეტარი Ⴈლარიონისაჲთა, მღდელმთავართა: Ⴆაქარია, Ⴋაკარი და Ⴄზრა ანჩელთა, Ⴑაბა იშხნელისაჲთა, Ⴑტეფანე მტბევარისაჲთა, ღირსი მამისა Ⴈოანესითა, ბაღდადს სარკინოზთაგან მოკლულისაჲთა, ღირსთა მამათა: Ⴇეოდორე ნეძჳს მაშენებელისაჲთა, Ⴕრისტეფორე კჳრიკეთის მაშენებელისაჲთა, Ⴀმონა, Ⴎეტრე, Ⴑამოელ, Ⴀნდრეა, ამბა Ⴂიორგი და Ⴋაკარი ოპიზელთა, საკჳრველთმოქმედისა Ⴘიოსი, Ⴂიორგი, Ⴋიქაელ, Ⴎავლე და Ⴁასილი Ⴆარზმელთა, Ⴕუედიოს, Ⴄპიფანე, Ⴋატოი, Ⴆენონ, Ⴀრსენ,

Ⴈოვანე, Ⴁასილი, Ⴃიმიტრიოს, Ⴀრსენ, Ⴋაკარი, Ⴇეოდორე, Ⴂაბრიელ, Ⴂიორგი მერჩულე, ხანძთელთა, Ⴋიქელ პარეხელისაჲთა და მოწაფეთა მისთა Ⴁასილისა და Ⴋარკელაოსისაჲთა, Ⴃავით და Ⴈაკობ მიძნაძორელთა, Ⴂრიგოლ და Ⴑოფრონ შატბერდელთა, Ⴆაქარია ბარეთელთის მაშენებელისაჲთა, Ⴈლარიონ პარეხელისაჲთა, Ⴈლარიონ უბის მამასახლისისაჲთა, ღირსთა დედათა: Ⴔებრონია, Ⴇემესტია, Ⴀნტონიოს და Ⴀნასტასიაჲთა, Ⴑალომე უჯარმელისა და Ⴎეროჟავრა სივნიელისა, ღირსთა Ⴋამათა ჩუენთა, ათონელთა - Ⴈოვანე, Ⴂაბრიელ, Ⴈოვანე თორნიკეფილისა, Ⴄფთჳმე და Ⴂიორგისაჲთა, წმიდათა დიდებულთა მოწამეთა, არგვეთის მთავართა, Ⴃავით და Ⴉონსტანტინესაჲთა, წმიდათა კეთილმორწმუნეთა და დიდთა მეფეთა ჩუენთა, Ⴅახტანგ გორგასალისა, Ⴀშოტ კურაპალატისა, Ⴃავით აღმაშენებელისა, Ⴁაგრატ და Ⴑოლომონისაჲთა, წმიდისა და კეთილმსახურისა მეფისა Ⴇამარისაჲთა, წმიდათა კეთილად მძლეთა მოწამეთა მეფეთა და დედუფალთა: Ⴀრჩილ, Ⴆუარსაბ, Ⴃემეტრე, Ⴅახტანგ, Ⴘუშანიკ და Ⴕეთევანისაჲთა, წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა, ტფილისს ხუარაზმელთაგან მოწყუედილთა, წმიდათა მოწამეთა ექვსი ათასთა გარეჯელთა ბერთა, წმიდისა Ⴈლია მართლისაჲთა, წმიდათა და მართალთა მშობელთა Ⴖმრთისმშობელისაჲთა Ⴈოაკიმ და Ⴀნაჲსითა, და წმიდისა საკჳრველთმოქმედისა მამისა ჩუენისა Ⴑპირიდონისა, ტრიმიფუნტელი ეპისკოპოსისაჲთა, *(და Ⴜმიდანის სახელი, Ⴐომლისაცა არს ტაძარი)*, და ყოველთა Ⴜმიდათა Ⴘენთაჲთა გევედრებით Ⴘენ, მრავალმოწყალეო Ⴖმერთო, შეისმინე ჩუენ ცოდვილთა ვედრებაჲ და შეგჳწყალენ ჩუენ.

Ⴓფალო, შეგჳწყალენ *(12-გზის)*.

### Ⴂალობაჲ Ⴆ

### Ⴉურთხეულარსა

**Ⴛლისპირი.** Ⴗრმათა ღმრთისმსახურთა Ⴁაბილონს შინა არა ჰმსახურეს ხატსა ოქროჲსასა და მით საჴუმილსა შეითხინეს, და შეცუ-

რეულნი ესრწთ ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ Ⴘენ, ႭჃფალო, Ⴖმერთო მამათა ჩუენთაო.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

**Ⴒროპარნი:** Სიწმიდემან Ⴘენმან აღმოუბრწყინვა სასოებისა ნათელი ერთა მათ ბნელსა შინა მსხდომარეთა და იგინი შეცურეულნი ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ Ⴘენ, ႭჃფალო, Ⴖმერ-თო მამათა ჩუენთაო.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

Ⴃაუცხრომელითა მოღუაწებითა Ⴘენითა მთანი ურწმუნოებისაჲ დაეცნენ დაცემითა დიდითა და ერი Ⴕართლისაჲ ესრეთ ღაღადებ-დეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ Ⴘენ, ႭჃფალო, Ⴖმერთო მამათა ჩუენთაო.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴋოციქულებრივი ღუაწლი თავს ისხენ და ღმრთივშუენიერად ჰქა-დაგე რჩული იგი Ⴕრისტესი Ⴕართლსა შინა, რაჲთამცა ჩუენცა მადლობით ვღაღადებდეთ და ვიტყოდეთ: კურთხეულ ხარ Ⴘენ, ႭჃფალო, Ⴖმერთო მამათა ჩუენთაო.

Ⴀწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

**Ⴖმრთისაჲ.** Ⴋოვედით ყოველნი სარწმუნოებით და Სამებასა დაუ-საბამოსა, Ⴋამასა თანა Ⴛით და Სულით განუყოფელსა თაყუანის-ვცემდეთ და ვღაღადებდეთ: კურთხეულ ხარ Ⴘენ, ႭჃფალო, Ⴖმერთო მამათა ჩუენთაო.

## Ⴂალობაჲ Ⴆ

## Ⴀკურთხევდითსა

**Ⴛლისპირი.** Საჴუმილსა რაჲ შეითხინეს სამნი ყრმანი, დაშრიტეს ვედრებითა, და მღჳმესა ლომთასა Ⴃანიელ დაცვული იტყოდა: ყო-ველნი საქმენი აკურთხევდით ႭჃფალსა.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

**Ⴒროპარი:** Ⴀოცნებდა ბოროტი ერსა უგულისხმოსა, ვიდრემდის წმიდამან Ⴌინომან ჯეროვანითა სიტყჳთა შეაწყალა ერი განწირული დამბადებელსა ყოველთასა.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

Ⴖმრთისა მადლითა დაცვული იქმოდა საქმეთა საკჳრველთა და ერმანცა შეიწყნარა თესლი სიტყუათა მისთაჲ და ნათელ-იღო სახელითა წმიდისა Ⴑამებისაჲთა.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა.

Ⴑიყუარულითა დიდითა ძლევაშემოსილმან Ⴕალწულმან მოაქცია ერი ქებად Ⴕრისტესთჳს, რამეთუ ყოველთა ზედა საქმეთა Ⴖმრთისაჲთა ვაკურთხევდეთ ႭჃფალსა.

Ⴀწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

**Ⴖმრთისმშობელისაჲ.** Ⴂიხაროდენ, ტაკუკო ოქროჲსაო, სავსეო მანანაჲთა. გიხაროდენ ღრუბელო და ბჭეო ტაძრისა Ⴖმრთისაო, Ⴐომელმან გჳშევ Ⴃამბადებელი ყოველთაჲ.

## Ⴂალობაჲ Ⴇ

## Ⴀდიდებდითსა

**Ⴛლისპირი.** Ⴂანა-წარჰჴედ Ⴘენ საზღუართა მათ ბუნებისათა, ვინაჲთგან მუცლად-იღე Ⴘენ დაბადებულთა Ⴖმერთი, ჴსნა ექმენ სოფელსა, ამისთჳს, Ⴖმრთისმშობელო, დაუდუმებელად გადიდებთ, Ⴘენ.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

**Ⴒროპარი:** Ⴋოიჴსენა ყოვლადწმიდამან Ⴖმრთისა Ⴆედამან წილად ჴუდომაჲ Ⴋისი Ⴕართველთა ნათესავისაჲ და განჰმზადა მოციქულად წმიდაჲ Ⴌინო, ამისთჳს დაუდუმებელად Ⴋას ვადიდებთ.

Ⴜმიდაო დედაო Ⴌინო, ევედრე Ⴖმერთსა ჩუენთჳს.

Ყოვლადწმიდამან Დედუფალმან მიჰყო ჴელი რტოსა ვაზისასა, მოჰკუეთა მისგან, შეჰქმნა Ჯუარი და მისცა ღირსსა Ნინოს ძლევად მტერთა, ამისთჳს დაუდუმებელად Მას ვადიდებთ.

Დიდებაჲ Მამასა, და Ძესა, და Წმიდასა Სულსა.

Ნეტარ ვართ და სამგზის სანატრელნი, რამეთუ გამომირჩიენ ჩუენ, Დედუფალო, ნაწილნი ვართ Შენი და ერი საზეპურო, ამისთჳს Ღმრთისმშობელო, დაუდუმებელად გადიდებთ, Შენ.

Აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ამენ.

**Ღმრთისმშობლისაჲ.** Შენ თაყუანის-გცემთ, უბიწოო Სძალო Ღმრთისაო, უთესლოდ მუცლად-მღებელო, Ქალწულო დიდებულო, Რომელმან ახარე ნათესავსა კაცისასა უზეშთაეს შობითა Შენითა.

Ღირს არს ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებდეთ Შენ, Ღმრთისმშობელო, Რომელი მარადის სანატრელ იქმენ ყოვლადუბიწოდ და Დედად Ღმრთისა ჩუენისა. უპატიოსნესსა Ქერუბინთასა და აღმატებით უზეშთაესსა Სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა Სიტყჳსა Ღმრთისასა, მხოლოსა Ღმრთისმშობელსა გალობით ვადიდებდეთ.

Ლოცვითა Შენითა მეფემან ნათელ-იღო ჴელთა ქუეშე Შენთა და მერმე ყოველმან ერმან Ქართლისამან, ხოლო Შენ გამოზარდნე იგინი ჭამადითა მით სულიერითა სასუფევლისათჳს Ცათა, Სამებისა ნათლითა განბრწყინვებულო სანატრელო დედაო Ნინო, ჩუენთჳსცა ითხოვე Მართალთა თანა სავანეობაჲ.

Ცეცხლი დგა თავსა Ჯუარისასა შჳდწილად მზისა უბრწყინვალესი და Ანგელოზნი Ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს Მას ზედა, და ყოველნი ერნი მოვიდოდეს ლოცვითა Შენითა, ნეტარო Დედაო, თაყუანისცემად გულსმოდგინედ, აწცა ჩუენთჳსცა ევედრე Მამასა Ზეცათასა მიმთხუევად ჩუენდა Ზეცისა სასუფეველსა.

Ფრიადითა ვედრებითა გარე-მიაქციე გულის-წყრომაჲ წმიდისა Გრიგოლისი, წმიდაო Ნინო, შუვამდგომელობითა ყოვლადწმიდისა Ღმრთისმშობელისაჲთა მოსცა Ქრისტემან მეფესა გვრგვნი ფრთეთა Ჯუარისაგან, აწცა ევედრე Უფალსა, მოსცეს Ჯუარითა ძლევაჲ საკვრველი ერსა ჩუენსა ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა.

Მოსწყუედდა ერი მრავალი ფესუსა სამოსისა Შენისასა და ვინაჲცა მიიღებდიან და მერმე ემთხუეოდიან წადიერად და წრფელითა გულითა და სულითა შემუსრვილითა, ცხოვნდებოდეს, აწცა სიწმიდითა Შენითა ევედრე Სულსა Წმიდასა, წარწყმიდნეს მაჭირვებელნი სულისანი და წმიდა მყვნეს ყოვლისაგან ბიწისა.

Ო, ყოვლადწმიდაო Ქალწულო Მარიამ, ყოველთა Ანგელოზთა და ღმერთშემოსილთა Მამათა თანა ევედრე Ქრისტჱსა Ღმერთსა, რაჲთა მივემთხვნეთ შუენიერებათა მათ Ზეცისათა და გვრგვნშემოსილნი ვგალობდეთ საუკუნოდ.

Წმიდაო Ღმერთო, წმიდაო Ძლიერო, წმიდაო Უკუდაო, შეგვწყალენ ჩუენ *(3-გზის).*

Დიდებაჲ Მამასა, და Ძესა, და Წმიდასა Სულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ამენ.

Ყოვლადწმიდაო Სამებაო, შეგვწყალენ ჩუენ, Უფალო, გვჴსნენ და გვლხინენ ცოდვათა ჩუენთაგან, Მეუფეო, შეგვნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი, Წმიდაო, მოიხილენ და განკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა Შენისათჳს.

Უფალო, შეგვწყალენ *(3-გზის).*

Დიდებაჲ Მამასა, და Ძესა, და Წმიდასა Სულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ამენ.

Მამაო ჩუენო, Რომელი ხარ Ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი Შენი, მოვედინ სუფევაჲ Შენი, იყავნ ნებაჲ Შენი, ვითარცა Ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტე-

ვებთ თანამდებთა მათ ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაც-დელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან. Ⴀმენ.

Ⴜიწყალენ ჩუენ, ႭႵფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყჳსმიცემისა უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა Ⴘენ, Ⴜეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ, მიწყალენ ჩუენ, ႭႵფალო, შეგჳწყალენ ჩუენ.

Ⴆიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴡმიდასა Ⴑულსა.

ႭႵფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ ჩუენ Ⴘენ გესავთ, ნუ განმი-რისხდები ჩუენ ფრიად და ნუცა მოიჴსენებ უშჯულოებათა ჩუენ-თა, არამედ მოიხილე ჩუენ Ⴆედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გჳჴსნენ ჩუენ სამართლად რისხჳსაგან Ⴘენისა, რამეთუ Ⴘენ ხარ Ⴖმერთი ჩუენი და ჩუენ ვართ ერი Ⴘენნი, ყოველნივე ქმნულნი ჴელთა Ⴘენთანი ვართ და სახელი Ⴘენი წოდებულ არს ჩუენ Ⴆედა და შეგჳწყალენ ჩუენ.

Ⴀწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴜოწყალებისა კარი განგჳღე კურთხეულო Ⴖმრთისმშობელო, რაჲთა რომელი ესე Ⴘენ გესავთ არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღ-მდგომთა მტერთაგან, რამეთუ Ⴘენ ხარ ცხორება ნათესავისა Ⴕრის-ტეანეთაჲსაჲ.

ႭႵფალო, შეგჳწყალენ (12-გზის).

## Ⴌოცვაჲ Ⴜუჴლთმოდრეკით Ⴑათქუმელი

Ⴟ ყოვლადღირსო და ყოვლადვე ღმერთშემოსილო დედაო Ⴌინო, Ⴜოციქულთა სწორო, მეფეთა თანამოღუაწეო, საჴელმწიფოს სიმ-ტკიცეო, მოციქულისა Ⴀნდრეას ქადაგებისა წარმართებაო, დედათა შუენებაო, უძლურთა მკურნალო, სასწაულთა მოქმედო, საკჳრვე-ლო მოღუაწეო, Ⴕართველთა სიქადულო, Ⴌეცისა ნიჭო და მვედრე-ბელთა Ⴘენთა მსწრაფლშემწეო, მეოხ გუეყავნ წინაშე Ⴖმრთისა ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

Ⴥ ყოვლადსანატრელო, ფრიად შუენიერო საღმრთოო სძალო, ბოროტისა მონებისაგან ჴსნილთა ზეციერისა დიდებად აღსლვისა წინამძღუარო, საღმრთოჲთა მადლითა Ⴘენითა განაბრწყინვე კეთილმორწმუნე ერი ჩუენი, ყოვლადგანათლებულითა ლოცვითა Ⴘენითა განანათლე უწმიდესი და უნეტარესი სრულიად Საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, და ყოველნი სამღდელონი და სამონაზნონი მწყობრნი, მრავლითა ძალითა Ⴘენითა განაძლიერენ Ⴕრისტეს მოყუარენი და სამჴედრო განწესებანი, და ყოველნი მართლმადიდებელნი Ⴕრისტეანენი, მოსახელენი და მვედრებელნი Ⴘენნი ადიდენ. Ⴄვედრე, Ⴃედაო, Ⴘენგან შეყუარებულსა Ⴖმერთსა, რაჲთა ყოველნივე შემიწყალნეს დიდითა წყალობითა Ⴕჳსითა.

Ⴥ ყოვლადსაწადელო ნეტარო Ⴃედაო, ზეციერისა პურითა მით ცხორებისაჲთა ჩუენო მზრდელო, ერისა ჩუენისა საღმრთოო და სარწმუნოო ნავთსაყუდელო, უგულისხმოდ კადნიერთა რისხვაო, სულითა მდაბალთა მსწრაფლშემწეო და მფარველო ძლიერო, ურიცხუთა მათ სათნოებათა Ⴘენთათჳს ყოვლადბრწყინვალითა გჳრგჳნითა გჳრგჳნოსანო, წადიერად მუჴლთ-მოდრეკით გევედრებით, რაჲთა არა უგულებელს-გუყვნე ყოველნი მართლაღმსარებელნი მონანი ႲႡფლისანი წმიდასა ლოცვასა Ⴘენსა, არამედ შეიწირე სარწმუნოებაჲ ჩუენი, Ⴜმიდაო, რამეთუ უწყი სიყუარული ჩუენი. Ⴌუ დამივიწყებ ჩუენ, ნეტარო Ⴃედაო, არამედ იყავნ მადლი Ⴘენი შემწედ ჩუენდა, Ⴁოდბეს წმიდასა მონასტერსა Ⴘენსა და სოფლისა Ⴕართლისასა დამკჳდრებულთა, და ყოვლისა ერისა მართლაღმსარებელისა, რაჲთა ჩუენცა ვიპოვნეთ Ⴘენ თანა სიხარულსა მას წარუვალისა ცხორებასა.

Ⴥ ყოვლადქებულო დედაო Ⴌინო, ვნებათა სიბნელისა და ბოროტისა დიდთა მანქანებათა მსწრაფლ განმაქარვებელო, აღძრულნი სიყვარულისაგან Ⴘენისა უღირსნი მონანი ႲႡფლისანი გვედრით, მჴნეო Ⴃედაო, ლოცვითა და მეოხებითა Ⴘენითა დაიცვნე დედანი და მჴევალნი Ⴖმრთისანი ბოროტისა ყოველი გარე-მოდგომილე-

ბისაგან, ლოცვითა და მეოხებითა Ⴘენითა შეეწიე მოწყალეთა და კეთილისმყოფელთა ჩუენთა, რომელი გვზრდიან და გვიღვწიან ჩუენ, ლოცვათა ჩუენთა შინა შემოვედრებულთა მამათა და ძმათა, დედათა და დათა ჩუენთა, მოხუცებულთა და ყრმათა, ობოლთა და ქურივთა, უძლურებათა და დაჴსნილობათა და განსაცდელთა, ტყუეობასა და საპყრობილეთა შინა მყოფთა, სიმართლისათჳს დევნულთა, ჭეშმარიტებისათჳს და მოყუასისათჳს ვნებულთა, მსახურებად წარგზავნილთა; განარინე ზღუასა და ჰაერსა შინა ანუ ზედა მავალნი, მოაქციენ ცოდვილნი და შეაწყნარენ Ⴕრისტესა ႶႫერთსა ყოველთა შემწყნარებელსა და ყოველნი მადიდებელნი წმიდისა სახელისა Ⴘენისანი ადიდენ და აღამაღლენ, რაჲთა სასუფეველისა დიდებასა და დიდად შუენიერსა ბრწყინვალებასა ႶႫრთისასა ღირს ვიქმნნეთ ხილვად ყოველნი, Ⴀნგელოზთა თანა უგალობდეთ, Ⴜმიდათა თანა ვადიდებდეთ, და Ⴘენთანა გჳრგჳნოსანნი ვაკურთხევდეთ Ⴘენსა გჳრგჳნოსანმყოფელსა Ⴋამასა, Ⴘენსა განმაძლიერებელსა Ⴛესა, და Ⴘენ შორის მეტყუელსა Ⴑულსა Ⴜმიდასა, Ⴐომელსა ჰშუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴓფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).

Ⴓფალო Ⴈესუ Ⴕრისტე, Ⴛეო ႶႫრთისაო, მეოხებითა ყოვლადწმიდისა Ⴃედისა Ⴘენისაჲთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა Ⴋამათა და Ⴃედათა ჩუენთაჲთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა Ⴋოციქულთაჲთა და წმიდისა *(Ⴐომლისაცა არს ტაძარი)*, წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა Ⴈოაკიმ და Ⴀნნაჲსა და წმიდისა *(Ⴐომლისაცა არს დღჱ)*, ღირსისა და ღმერთშემოსილისა დედისა ჩუენისა Ⴌინოჲსითა, და ყოველთა წმიდათაჲთა შეგჳწყალნენ და გვაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყუარე. Ⴀმენ.

Ⴓფალო, შეგჳწყალენ *(3-გზის).*

## Ⴂანტევებისა Ⴘემდგომად Ⴞატისა Ⴋისისა Ⴋთხუევნასა Ⴆედა Ⴑაგალობელნი Ⴃასდებელნი Ⴂსსე:

### Ⴟმაჲ Ⴂ გუერდი

Ⴉეთილად შემწეო და წარმმართებელო ყოველთა მვედრებელთა Ⴘენთა, Ⴋოციქულთა სწორო ნეტარო დედაო ჩუენო Ⴌინო, ყოვლითურთ მსასოებელნი მოვივლტვით Ⴘენდა, ვინაჲთგან გარდარეულითა მოღუაწებითა აღასრულნე საქმენი დიდნი და საკჳრველნი სიყუარულისათჳს Ⴕრისტჱსა და კადნიერება გაქუს Ⴋის წინაშე, Ⴋას ევედრე, სანატრელო Ⴃედაო, რაჲთა უვნებელად დაგჳცვნეს ყოველთა განსაცდელთაგან, სულიერთა და ჴორციელთა, და ღირს ვიქმნნეთ სასუფეველსა Ⴚათასა, და Ⴘენთანა ვადიდებდეთ Ⴑამებასა ერთარსებასა უკუნისამდე.

Ⴗოვლადწმიდაო დედუფალო Ⴋარიამ, მოგუხედენ სარწმუნოებით თაყუანისმცემელთა და სურვილით ამბორისმყოფელთა პატიოსანთა ხატთა წმიდათასა, ხოლო მადლი მათი და წყალობაჲ Ⴘენი გუეყავნ ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა. Ⴀმენ.

Ⴃიდებაჲ Ⴋამასა, და Ⴛესა, და Ⴜმიდასა Ⴑულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

Ⴓფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).

Ⴓფალო Ⴈესუ Ⴕრისტე, Ⴛეო Ⴖმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა Ⴃედისა Ⴘენისაჲთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა Ⴋამათა ჩუენთაჲთა და ყოველთა Ⴜმიდათა Ⴘენთაჲთა, შეგჳწყალენ ჩუენ. Ⴀმენ.

# Ს Კ Ი Ვ Რ Ი

Ⴜმიდა Ⴋოციქულთა Ⴑწორი Ⴌინო .................................................. 3

Ⴎარაკლისი - სავედრებელი Ⴜმიდისა Ⴋოციქულთა Ⴑწორისა Ⴌეტარისა Ⴃედისა Ⴙუენისა Ⴌინოჲსი ............................................ 27

Ⴎარაკლისი - სავედრებელი Ⴜმიდისა Ⴋოციქულთა Ⴑწორისა Ⴌეტარისა Ⴃედისა Ⴙუენისა Ⴌინოჲსი შეიქმნა წმ. Ⴀნდრეა პირველწოდებულის ტაძრის („ლურჯი მონასტრის") წინამძღვრის დეკანოზ Ⴃავითის კურთხევით.

Ⴐედაქტორი - Ⴌუნუ Ⴉაპანაძე

Ⴋხატვრული რედაქტორი - Ⴂიორგი Ⴂრიგოლაშვილი

Ⴂარეკანის წინა მხარეს გამოსახული წმიდა Ⴌინოს ხატის ფოტო Ⴌიკოლოზ Ⴟავახიშვილისა

Ⴂარეკანის უკანა მხარეს გამოსახული Ⴁოდბის წმიდა Ⴂიორგის მონასტერში წმიდა Ⴌინოს საფლავის ფოტო Ⴇამთა Ⴀივაზიშვილისა

Ⴂამომცემლები - Ⴂელა Ⴆაქარია Ⴂრიგოლაშვილი და Ⴌინო Ⴀსათიანი

© გელა გრიგოლაშვილი

598669944

---

Service of Supplication to Equal of the Apostles Saint Nino the Venerable Mother of Iberia

By Gela Grigolashvili

(in the Georgian language)

# ქართული ანბანი

## Ⴀსომთავრული და Ⴋჴედრული ასო-ნიშნები

| 1 | 2 | 3 | 4 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Ⴀ | ა | ანი | 20 | Ⴑ | ს | სანი |
| 2 | Ⴁ | ბ | ბანი | 21 | Ⴒ | ტ | ტარი |
| 3 | Ⴂ | გ | განი | 22 | Ⴣ | ჳ | ვიე |
| 4 | Ⴃ | დ | დონი | 23 | ႭჃ | უ | უნი |
| 5 | Ⴄ | ე | ენი | 24 | Ⴔ | ფ | ფარი |
| 6 | Ⴅ | ვ | ვინი | 25 | Ⴕ | ქ | ქანი |
| 7 | Ⴆ | ზ | ზენი | 26 | Ⴖ | ღ | ღანი |
| 8 | Ⴡ | ჱ | ეჲ | 27 | Ⴗ | ყ | ყარი |
| 9 | Ⴇ | თ | თანი | 28 | Ⴘ | შ | შინი |
| 10 | Ⴈ | ი | ინი | 29 | Ⴙ | ჩ | ჩინი |
| 11 | Ⴉ | კ | კანი | 30 | Ⴚ | ც | ცანი |
| 12 | Ⴊ | ლ | ლასი | 31 | Ⴛ | ძ | ძილი |
| 13 | Ⴋ | მ | მანი | 32 | Ⴜ | წ | წილი |
| 14 | Ⴌ | ნ | ნარი | 33 | Ⴝ | ჭ | ჭარი |
| 15 | Ⴢ | ჲ | ი მოკლე | 34 | Ⴞ | ხ | ხანი |
| 16 | Ⴍ | ო | ონი | 35 | Ⴤ | ჴ | ჴარი |
| 17 | Ⴎ | პ | პარი | 36 | Ⴟ | ჯ | ჯანი |
| 18 | Ⴏ | ჟ | ჟანი | 37 | Ⴠ | ჰ | ჰაე |
| 19 | Ⴐ | რ | რაე | 38 | Ⴥ | ჵ | ჵოე |

დანართი




*წყარო:* https://eclipse.gsfc.nasa.gov/SEsearch/SEsearchmap.php?Ecl=03190506

NASA eclipse web site

Total solar eclipse of 319 may 06